# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 23 თებერვალი. 2017 წ. №42 (8179), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


საერთოდ, რა „თავისუფალ სიტყვაზეა“ ლაპარაკი? „რუსთავი-2“-ის გადაცემებზე, რომლებიც ანტიქართული სულისკვეთებით, პედერასტი ბიჭებისა და ლესბოსელი გოგოების ტინგიცით არის გაჯერებული? იმ გადაცემებზე, რომლებიც ებრძვის, დასცინის ყოველივე იმას, რამაც აქამდე მოგვიყვანა ქართველობა?

## ვინ

## ვაი პრეზიდენტისგან

თავში მჯდომ კაცს ჰაიჰარად არ უნდა ვირჩევდეთ. აკი ჯერ კიდევ ადამისდროინდელი ნათქვამია: თევზი თავიდან ყარსო... ②



ვეტოდან ვეტომდე



## ყოვლად დაუშვებელია თვითმფრინავის გამტაცებლების გმირებად მიჩნევა! ⑦

## ჩაუსაქმა შარვალში ნიკანორ მელიას?




③



## ქარიშხალი ჭიქაში თუ... მორიგი შემოლაწუნება? ⑤

რა საფრთხეს შეიცავს ლავროვის განცხადებები საქართველოზე?

## ვანო მერაბიშვილი ⑨ საკნიდან არავის გაუყვანია!





## მისტერ ჯონს ჩვენთვის „ექვსი ერი“ არ ემეტება! ⑩



## იყო კაცი და იყო... ფარვანა ⑦



# ვეტოდან ვეტომდე
# ვაი პრეზიდენტისგან

**ჩვენს, თქვენს, მართალი გითხრათ, არც ვიცი, ვის პრეზიდენტს, ანუ ბიძინა ივანიშვილის მიერ ძალისძალად დასმულ გიორგი მარგველაშვილს რომ ვუცქერი, რატომღაც ჩვენი ქართული ფონეტიკიდან ეგრეთ წოდებული ანაპტიქსური ხმოვანი წამომაგონდება ხოლმე. მხედველობაში მაქვს სიტყვაში თანხმოვნებს შორის განვითარებული უფუნქციო ხმოვანი.**

თქვენ წარმოიდგინეთ, თუ ბგერას არა აქვს ფუნქცია, რა როლის შესრულება შეუძლია ფუნქციის არმქონე ადამიანს, რომელსაც პრეზიდენტი კი ჰქვია, პრეზიდენტის სასახლეში კია მოკალათებული, პირველ დიდკაცადაც ითვლება, მხედართმთავარიც არის, მაგრამ პარლამენტის მიერ ამა თუ იმ მისაღებ კანონზე თუ გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადების გარდა მესამე წელიწადია, სხვისი არ ვიცი და პირადად მე არა ღირებული საქმე არ მახსოვს პრეზიდენტ მარგველაშვილისაგან თავდადგმული თუ, როგორც ძველები იტყოდნენ, დამში მოყვანილი.

აშკარად და დაუფარავად ჩანს, რომ ეს ვეტოს ტრფიალი თავში მჯდომი კაცი (პრეზიდენტი ლათინური სიტყვაა და სწორედაც თავში მჯდომსა ნიშნავს) თავის მთავარ დანიშნულებას უწინარესად უმრავლესობის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგობაში ხედავს და აკი განუხრელადაც ადგას ამ გზას. მთავარია, ანგარიში გაეწიოს ხელისუფლების კრიჭაში ჩამდგარ დესტრუქციულ ოპოზიციას, ამ ოპოზიციის გვერდში მდგომ არასამთავრობოებს, და თუ ამ ორსავე ანტისახელმწიფოებრივ ძალას გარკვეულ ლაშქრად წარმოვიდგენთ, დიახაც ამ კუკავების, გუგავების, ქარდავების, დავითაიების, ახვლედიანების, მელიების, ბაქრაძეებისა და სხვა მსგავსთა ლაშქრის მხედართმთავრად უნდა შევასკუპოთ თეთრ ულაყზე პრეზიდენტი მარგველაშვილი, რომელიც ხელისუფლებისკენ ზურგშექცეული ისევ და ისევ თავისას მიაჭენებს.

ამ ჭენების სათვალმჩენო მაგალითად გამოდგება თუნდაც 21 თებერვალს „რუსთავი-2“-ის „არჩევანში“ თითქმის ორსაათიანი სტუმრობა — ჯიბიდან გავარდნილ ჯულიეტოვნასთან, რომლის ჩვეულებრივ მამაძაღლურ კითხვებს ასევე ჩვეულებრივ მოფილოსოფოსოდ უპასუხებდა აქ უკვე ბრძენი პრეზიდენტის ნიღაბაფარებული მარგველაშვილი.

კითხვები, ცხადია, ათას რასმე შეეხებოდა, მაგრამ მთავარი მაინც თვით „რუსთავი-2“-ის საკითხი იყო. მე რომ დღეს აქა ვარ, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის პრეზიდენტი თქვენს მხარეზეა და მთელი თავისი შესაძლებლობით თქვენთან ერთად იბრძვის თქვენი სიმართლის გამარჯვებისთვისო, თავიდანვე თანადგომა აგრძნობინა პრეზიდენტმა გაბუნიას ბიჭს, რომელმაც ამის მერე უკვე ფრთაშესხმულმა დააყარა „რუსთავი-2“-ის სასარგებლოდ შემაგულიანებელი კითხვები.

მაგრამ პრეზიდენტ მარგველაშვილს შეგულიანება სულაც არ სჭირდება, როცა საქმე ეხება ოპოზიციას, არასამთავრობოებს და განსაკუთრებით „რუსთავი-2“-ს, ურომლისოდაც თურმე საქართველოში ებნელებოდა, რადგან მართალი, კრიტიკული სიტყვა არც ერთი სხვა არხიდან არ ისმის (არადა, ისმის, ძალიანაც ისმის!) და თუ არა ხელისუფლების კრიტიკა (ხელისუფლებისა და არა თვითონ პრეზიდენტის!), ჩვენ დემოკრატიულ საზოგადოებას ვერ ავაშენებთ.

ისე, ცხადია, კარგი იქნებოდა, თუ პრეზიდენტი ჯულიეტოვნას შეახსენებდა, რომ მართალი კრიტიკა სულაც არ ნიშნავს ცილისწამებასა და შეურაცხყოფას. სიტყვა სამართლიანობაზეც ჩამოვარდა, მაგრამ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ენაც არ დაასველა, რომ „რუსთავი-2“-ს სარედაქციო პოლიტიკის გამო არ ედავებიან, რომ ჯერჯერობით ათას მძიმედანაშაულშეტყაპუნებულმა სააკაშვილმა თავის დროზე ყაჩაღურად წაართვა კანონიერ მფლობელს ეს არხი, და ახლა ის მფლობელი სასამართლოს წესით დავობს თავისი წართმეული ქონების დასაბრუნებლად.

„რუსთავი-2“-ის ქება-დიდების გარდა პრეზიდენტ მარგველაშვილს არც თავისი თავი და მეტადრე არც ვეტოები დავიწყებია.

ერთი სიტყვით, 21 თებერვალს, სამშაბათ საღამოს, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ თავისი სამშობლოსთვის ბევრი კარგი საქმის მქმნელ ბიძინა ივანიშვილს მაინცდამაინც პრეზიდენტის არჩევანში არ გაუმართლა. როგორც ჩანს, სწორედაც ადამიანებზე გულგატეხილმა მიმართა ამის შემდეგ ხეებს, რომელთაგან შეიძლება, რომ ზოგიერთი გულფუტურო გამოდგეს, მაგრამ ადამიანებივით ღალატი არ იციან.

ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, დღეს ასე ფიქრობს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა: **დამოუკიდებელ, თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს ბევრად უფრო უკეთესი თავში მჯდომი ეკუთვნის.**

**როგორც ჩანს, თავში მჯდომ კაცს ჰაიჰარად არ უნდა ვირჩევდეთ. აკი ჯერ კიდევ ადამისდროინდელი ნათქვამია: თევზი თავიდან ყარსო...**

**გურამ წიკლაური**

# გიორგი გახარია: ბიზნესთან ყოველდღიურ, 24-საათიან რეჟიმში ვაგრძელებთ ურთიერთობას




**ეკონომიკის მინისტრის რანგში ეს ბიზნესთან გიორგი გახარიას პირველი შეხვედრა იყო. მინისტრმა კერძო სექტორის წარმომადგენლებს ის აქტივობები და ინიციატივები გააცნო, რომლებიც ეტაპობრივად განხორციელდება და, პირველ რიგში, სწორედ ბიზნესის ხელშეწყობაზე იქნება ორიენტირებული.**

შეხვედრაზე გაიმართა აქტიური დისკუსია, სადაც ბიზნესის წარმომადგენლებმა მინისტრს მათ წინაშე მდგარი პრობლემები გააცნეს და გადაწყვეტის გზებსა და შესაძლებლობებზე იმსჯელეს.

როგორც გიორგი გახარიამ განაცხადა, ეკონომიკის სამინისტრო უნდა გახდეს სწორედ ბიზნესზე ორიენტირებული, სერვისების მიწოდების სამინისტრო, რომელიც ეფექტურად და სწრაფად შეძლებს ბიზნესისთვის საჭირო საკითხების მოგვარებას. **„ეკონომიკის სამინისტროსთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია ბიზნესისა და ბიზნესგარემოს განვითარება, პრინციპულად მნიშვნელოვანია ისეთი სტრუქტურული პრობლემების მოგვარება, როგორიცაა ჩვენი სავაჭრო ბალანსი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში. ვთვლით, რომ ეს არის ჩვენი ძირითადი ამოცანები და მათ გადაწყვეტაში ბიზნეს ასოციაცია და კომპანიები არიან ჩვენი ძირითადი პარტნიორები. დღევანდელ შეხვედრაზე ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ ვიმუშაოთ ხვალიდან, როგორი უნდა იყოს ჩვენს შორის კომუნიკაცია და როგორ მივეხმაროთ მათ მიმდინარე თუ სისტემური პრობლემების გადაწყვეტაში“** — აღნიშნა გიორგი გახარიამ. ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, სწორედ ბიზნესია ის ძირითადი ინსტრუმენტი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკის ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას.

* * *

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი გახარიას განცხადებით საპენსიო რეფორმაზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს და ამასთან დაკავშირებით ღია განხილვები მარტში დაიწყება.

**„საპენსიო რეფორმის მიმართულებით ვაპირებთ, რომ უახლოეს პერიოდში, რაც მთავარია დასრულდეს კანონის დრაფტინგი, რომელშიც ჩართულია მსოფლიო ბანკი ADB და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები. მარტიდან ჩვენ ვიწყებთ ღია განხილვებს, პირველ რიგში ბიზნესწრეებთან და ბიზნესასოციაციებთან და შემოდგომაზე კანონს შევიტანთ პარლამენტში. მისი იმპლემენტაციის პერიოდზე დღეს მსჯელობა მიმდინარეობს როგორც მთავრობაში, ისე საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებთან. დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება 2018 წელი, შუა თუ წლის ბოლო ჯერ არ ვიცით, ვნახოთ“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

* * *

**„ტაბ-ჯორჯიასთან“** მოსაკ**რებლის გაზრდა არის ოპტიმალური, ახალი ვარიანტი, რომელსაც მივაღწიეთ მათთან კონტრაქტის გადახედვის შედეგად“,** — აცხადებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი გახარია აეროპორტის მოსაკრებლის გაზრდასთან დაკავშირებით.

მინისტრი განმარტავს, რომ კონტრაქტის ძველ ვარიანტში „ტავ-ჯორჯიას“ უფლება ჰქონდა ფასები გაეზარდა ყოველ წელს 2 დოლარით.

**„დღეს ახალი კონტრაქტის პირობებში ეს უფლება ჩაკეტილია მხოლოდ და მხოლოდ 2-ჯერ ფასების გაზრდით ორ-ორი დოლარით. შესაბამისად, ფასები შესაძლებელია 20-დან 24-ზე გაზრდის. მე გეუბნებით და გპირდებით, ამას სერიოზული ასახვა ბილეთის ტარიფებზე არ ექნება. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს პოზიტიური ცვლილებაა ძველ კონტრაქტთან შედარებით. სამინისტრომ მოლაპარაკების შედეგად მიაღწია იმ შედეგს, რომ დარჩენილ 10 წელიწადში მხოლოდ და მხოლოდ 2-ჯერ გაიზარდოს ფასი.**

**ჩვენ გვქონდა ბიზნესთან შეხვედრა, როცა ამ კონტრაქტზე ვმუშაობდით და ზუსტად ამ ავიაკომპანიებმა კონტრაქტში შეტანილი ცვლილებების შედეგად მიაღწიეს ყველაზე მეტ სარგებელს. ამ კონტრაქტის პირველი ვარიანტი იყო კაბალური“,** — აღნიშნა გახარიამ.

# ოპოზიცია ზედმეტად ჩქარობს ციანიდის საქმესთან დაკავშირებით



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ევროპული საქართველოს მიერ მთავარი პროკურორის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვების ფაქტს ეხმაურება. ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ ირაკლი შოთაძის გადადგომის მოთხოვნა შეცდომაა. მისივე თქმით, კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობა მხოლოდ გამოძიების დეტალების გარკვევის შემდეგ უნდა დაიწყოს.

**„ოპოზიცია ჩქარობს ციანიდის საქმესთან დაკავშირებით და ამ სიჩქარეში უშვებს შეცდომებს. მათ შორის შეცდომაა ის, რომ ოპოზიციამ დააყენა მთავარი პროკურორის გადადგომის მოთხოვნა. ისინი რომ იყვნენ გარკვეული გამოძიების დეტალებში, დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ მოთხოვნას არ დააყენებდნენ. რა ფორმით გაკეთდება ეს — კონკრეტული მასალები, ვიდეოკადრები თუ სხვა რამ, გასაჯაროვდება, ეს არის დეტალები. ჩვენთვის მთავარია, გაირკვეს სიმართლე,“** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

# ევა გოცირიძე: წერილი გავუგზავნე ევროპული კომიტეტის თავმჯდომარეს, მივიღე პასუხი, რომელშიც ბოდიშიც კი მომიხადეს

ევა გოცირიძეს ჯერ არ გადაუწყვეტია, მიიღებს თუ არა სტრასბურგის სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლის კანდიდატურების შესარჩევად გამოცხადებულ ახალ კონკურსში მონაწილეობას. იგი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ პრეტენზიებსაც გამოთქვამს. მისივე განცხადებით, მან ევროპული კომიტეტის თავმჯდომარეს წერილიც გაუგზავნა.

**„ვერ ვიტყოდი, რომ ეს სწორი დეფინიციაა, რომ ჩემი კანდიდატურა დაიწუნეს, იმდენად, რამდენადაც ფორმულირება, დასაბუთება, რაც გამოქვეყნდა, არის ძალიან ბუნდოვანი, იქ არ წერია, რომ ყველა კანდიდატი იყო არაკვალიფიციური, იქ იყო ნათქვამი, რომ ყველა კანდიდატი არ არის მაღალკვალიფიციური, უფრო მეტი დაზუსტება და განმარტება არც კომიტეტს გაუკეთებია და არც არავინ არ იცის. ჩემი პრეტენზიები მაქვს არასამთავრობო სექტორის მიმართ, რომლებმაც მეტისმეტად უსამართლო შეფასება გამოთქვეს ჩემს მიმართ. წერილი გავუგზავნე ევროპული კომიტეტის თავმჯდომარეს, სადაც გამოვთქვი ჩემი პრეტენზიები იმ პროცედურებთან დაკავშირებით, რომელიც საკუთრივ ევროსაბჭოში ჩატარდა და იქიდან მე მივიღე ასეთი წერილი, სადაც ბევრი ჩემი სამდურავი იქნა გაზიარებული და ბოდიშიც კი მომიხადეს,“** — განაცხადა ევა გოცირიძემ.



# ვინ ჩაუსაქმა შარვალში ნიკანორ მელიას?




## ბოლოს და ბოლოს, ჩვენც მოგვენატრა ქუჩაში გამოსვლა!!!

**საერთოდ, რა „თავისუფალ სიტყვაზეა“ ლაპარაკი? „რუსთავი-2“-ის გადაცემებზე, რომლებიც ანტიქართული სულისკვეთებით, პედერასტი ბიჭებისა და ლესბოსელი გოგოების ტინგიცით არის გაჯერებული? იმ გადაცემებზე, რომლებიც ებრძვის, დასცინის ყოველივე იმას, რამაც აქამდე მოგვიყვანა ქართველობა?**

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ კარგა ხანია იმ მოცულობის აქცია არ ჩატარებულა, როგორიც 19 თებერვალს, პარლამენტის წინ გაიმართა. ამ აქციამ, გნებავთ მანიფესტაცია დაარქვით, ჩამაფიქრა და შემაშფოთა კიდეც ერთდროულად. იმით, რომ ვერ გავარკვიე, რა მოვლენა იყო ეს:

დაანონსდა როგორც ხელისუფლების მიერ განწირული, დასახურად გახაზირებული „რუსთავი-2“-ის მხარდამჭერი აქცია და წარიმართა როგორც იმავე ხელისუფლების მიერ საჯალათო კუნძზე კისერწაწვდილი „თავისუფალი სიტყვის გადარჩენის“ ღონისძიება. რა შუაშია „რუსთავი-2“ „თავისუფალ სიტყვასთან“, სწორედ რომ გაუგებარია. აი, რომ თქმულიყო, „ათას სიბინძურეში გახვეული გვარამიას მხარდასაჭერადო“, ყველაფერი გასაგები იქნებოდა და არც არავითარი კითხვა არ აღიძვრებოდა.

**ახლა კი მთავარი საკითხავი ეს არის: რატომ აჰყვა ამდენი ხალხი რუსთავორელ პროვოკატორებს? რა, მართლა ამდენ ხალხს ზაფრავს შიში, „თავისუფალი სიტყვა“ არ წაგვართვანო?**

**ანუ, ნუთუ იმდენი ხალხი მიიჩნევს, რომ ტელეარხი „რუსთავი-2“ თავისუფალი სიტყვის განსხეულება და გამოხატულებაა?**

**ნუთუ ამდენი ხალხი მართლა ფიქრობს, რომ მთელი ხელისუფლება აჯაგრულია ხიშტებით „რუსთავი-2“-ის დასამხობად და გასაგლეჯად? ნუთუ იმდენ ხალხში, რომელთა შორისაც არა ერთი საკმაოდ საღად მოაზროვნე ნაცნობი შევნიშნე, არავინ დაფიქრებულა, რომ ის დაძაბული ურთიერთობა, რაც ხელისუფლებასა და ტელეარხს შორის არის, პოლიტიკური კი არა, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი დავაა წართმეული საკუთრების პატრონისთვის დასაბრუნებლად?**

არადა, ჩვენი საზოგადოება 2012 წლის შემდეგ სულ იმაზე ვიშვიშვებს, ნაცების 9-წლიანი ხელისუფლების მანძილზე წართმეული ქონების დაბრუნებას რატომ აჭიანურებთო და ახლა, როცა ერთი, კონკრეტული სამართლის აღსრულების ჟამი დგას, ოპოზიცია აქციებს აქციებზე აწყობს და მუშტებს იქნევს, „თავისუფალ სიტყვას“ არ დავთმობთო, ანუ „რუსთავი-2“-ის კანონიერი პატრონისთვის დაბრუნებას არ დავუშვებთო.

ჯერ ერთი, ვინ დალი ჰასანი ცდილობს „თავისუფალი სიტყვის“ „დაყაჩაღებას“ და მეორე, „ხორციელად“ რაში გამოიხატება ამ წართმევის ცდა?

სად ნაცების მიერ თავის დროზე პატრონისთვის წართმეული სატელევიზიო არხის იმავე პატრონისთვის დაბრუნება, ანუ „სამართლის მიერ პურის ჭამა“ და სად „თავისუფალი სიტყვისთვის“ (წაიკითხე: ნიკა გვარამიასა და გიორგი გაბუნიასთვის) დანაშაულებრივ ფხაკუნში მხარდაჭერა.

ერთი კია, რისი უთქმელობაც არ ეგება: შემტევი, შხამით სავსე „რუსთავი-2“-ის „დაჩაგრულ თავისუფალ სიტყვად“ მეტამორფოზა (თუმცა ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს) თვით ხელისუფლების ბრალიც არის ყოვლად გაუგებარი, მავნე კოჰაბიტაციით (რის დასრულებასაც ვერა და ვერ ველირსეთ), სამართლის აღსრულების პროცესთა უგერგილო გაჭიანურებით, ოპოზიციის მასირებულ შემოტევათა წილ უწადინო ღერღვითა და ცოხნით, მრავალგზისი ყოვლად გაუგებარი და უსაფუძვლო უკანდახევით...

მაგრამ ამაზე შემდეგ.

ახლა კი ისევ ის კითხვა: რატომ მოიგლიჯა კვირა დღეს რუსთაველზე იმდენი ხალხი? ვითომ იმ „საწყალი“, დაჩაგრულ „რუსთავი-2“-ის გამოსასარჩლებლად?

დარწმუნებული ვარ არა!

არა იმიტომ, რომ ხალხი ასე იოლად არ ყლაპავს ანკესს, ხოლო თუ გადაყლაპა, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მაინც და მაინც იმ ანკესზე წამოგებულ ჭიაყელას დაეხარბა. იქნებ სულაც ერთმანეთის აყოლამ და საქმეში ჩაუხედაობამ შეასრულა გადამწყვეტი როლი?

ხალხი, უბრალოდ, პროტესტის გამოხატვის შესაძლებლობამ ააბორგა და გამოხატა კიდეც ეს პროტესტი, საკმაოდ ხალისითა და ხმამაღლა.

ოღონდ ეს პროტესტი გამოთქვა არა „რუსთავი-2“-ზე მკერდით გადასაფარებლად, არამედ გულში დაგროვილი წყენის ამოსაფერთხად.

წყენა კი მართლაც ბევრი ჩალექვიათ:

**უმუშევრობა,** რასაც ბოლო არ უჩანს და სავარაუდოა, რომ კარგა ხანს არც გამოჩნდება;

**სიდუხჭირე,** რაც, ჯერჯერობით, ასევე არ გასულა ფინიშის სწორზე;

**უსამართლობა,** მით უფრო სოციალური, რაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვლინდება, თუნდაც იმ ოხერი შავი ჯიპებისა და პირდაპირ დივერსიული პრემია-დანამატების სახით.

იმით, რომ ვერც ერთ უწყებაში პასუხს ვერ მიაღწევ და სამართალს ვერ იპოვი. და ახლა უკვირთ, რომ ბევრი კომუნისტების დროს მისტირის, როცა სამართალი მართლაც ადვილი საპოვნელი იყო: გაზეთში წერილს დაწერდი შენ საწუხარზე და დედიმისის შვილები იყვნენ, პუბლიკაციას არ გამოხმაურებოდნენ ისინი, ვისი საქმეც იყო გამოხმაურება, „თადარიგში“ იყო რაიკომი, ალმასკომი, ტეკა, ცეკა, მინისტრთა საბჭო, ბოლოს მოსკოვი და სულაც: „მავზოლეუმი, ლენინს...“ ჭრიდა ეს! ისიც გვახსოვს „ტუნიადეცს (მუქთახორას) მილიციის ძალით რომ ასაქმებდნენ...

გაზულუქებულ ნუვორიშებს სულ ფეხებზე ჰკიდიხარ. წადი და იჩივლე, სადაც გინდა და რამდენიც გინდა. წყალსაც წაუღიხარ...

ერთი სიტყვით, სასაყვედურო, მწარედ სათქმელი ბევრია. და მეც კარგა გვარიანი წუწუნი გამომივიდა. ახლა, კაცმა რომ თქვას, ის ხალხიც ჩემზე მეტს კი არაფერს ამბობდა, უკულმართი ყოფის გამო გამოთქვამდა უკმაყოფილებას.

მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნაციონალებისგან 9 წლის მანძილზე ნაჯიჯგნი და წინდაწინ წაგებული ომით დაქცეული ქვეყანა ხუთ წელიწადში არ აშენდება, მაგრამ ის მაინც დაეტყო, რომ ამ თუ ვერა, იმ ხუთწლედში მაინც აშენდება.

მაგრამ რაკი პარლამენტისწინა მოედანზე მომიტინგეთა ვნებათაღელვას სარჩულად „რუსთავი-2“-ის მხარდაჭერა ედო, რომელსაც ხელისუფლება თურმე მოკვლას უპირებს და არა მარტო მას, არამედ მისი სახით საერთოდ „თავისუფალ სიტყვას“, ისე გამოვიდა, თითქოს ნიკა გვარამიას და გიორგი გაბუნიას შხამსიტყვაობას ედგნენ მხარში.

**თუმცა ერთი კია: ამ შხამკორა ტელეარხს ერთი გულწრფელი მომხრე და დამფასებელი მართლაც ჰყავს, თანაც როგორი — ჩვენი ღრმად ფილოსოფოსი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელმაც სწორადაც რომ საქვეყნო და საპარლამენტო უმრავლესობის ჯინაზე სამშაბათ საღამოს თახსირ გიორგი გაბუნიასთან საუბრისას გული ამოიგდო „რუსთავი-2“-ის ქება-დიდებით, ჩვენი პრეზიდენტი დიახაც შემჩნეულია ოპოზიციის მიმართ კეკლუცობითა და კოხტაპრუწობით, მაგრამ ეს მაინც მეტისმეტი იყო.**

საერთოდ, რა „თავისუფალ სიტყვაზეა“ ლაპარაკი? „რუსთავი-2“-ის გადაცემებზე, რომლებიც ანტიქართული სულისკვეთებით, პედერასტი ბიჭებისა და ლესბოსელი გოგოების ტინგიცით არის გაჯერებული? იმ გადაცემებზე, რომლებიც ებრძვის, დასცინის ყოველივე იმას, რამაც აქამდე მოგვიყვანა ქართველობა?

ამ გადაცემებს ახლა მიეცა „თავისუფალი სიტყვის“ სტატუსი, როცა უზენაესმა სასამართლომ დღე-დღეზე უნდა შობოს ვერდიქტი „რუსთავი-2“-ის კანონიერი მფლობელისთვის დაბრუნების შესახებ?

თუ ეს არის „თავისუფალი სიტყვა“, მე არ მინდა იგი, არ მინდა ასეთი ჭუჭყიან ქაღალდში შეფუთული „თავისუფლება“.

არ მინდა ის გზა, რომელსაც ნაციონალთა ახალი მესია ნიკანორ მელია კვალავს.

ეს თავმოვარაყებული ცრუწინასწარმეტყველი მელია იმიტომ გამოვარჩიე სხვა ცრუწინასწარმეტყველთა შორის, რომ ის საერთოდ გამორჩეულია თავისი ხისტი სიბრიყვით, სახედრული სიჯიუტითა და პირდაპირ კლინიკური შეუსმენლობით. ერთი სიტყვით, მოსამართ თოჯინასავითაა — შენ ოღონდ დაქოქე!... მით უფრო ახლა, როცა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ორად გაიყო და ამ პარტიის ერთი, „ინტელექტუალური“ ნაწილი (ჭიაბერაშვილი, ნადირაშვილი, აბესაძე, მილიონერი(!) რატიანი და სხვ.) გაღმა დარჩა, თვითონ კი სააკაშვილის შტანდარტით — გამოღმა, ხისთავიან წიკლაურთან, არანაკლებ ხისთავიან ბარამიძესა და ენა მხარზე გადაკიდებულ ბოკუჩავასთან ერთად. ჰოდა, ნიკანორს ახლა პირდაპირ ციდან ჩამოუვარდა შანსი: დაიკავოს ის ნიშა ოპოზიციაში, რომელიც ღვიძავს — ელანდება, სძინავს და — ესიზმრება. მაგრამ არ გამოვა მისგან რევოლუციის ტრიბუნი, მისგან მხოლოდ ის გამოვა, რაც უკვე გამოსულია — ოდენ მოსამართი თოჯინა, რაზეც უკვე ვთქვით და გამეორება აღარ ღირს. ოღონდ იმის დამატება კი საჭიროა, რომ როგორც მსოფლიო რევოლუციური პრაქტიკა გვიჩვენებს, ასეთ ლიდერებს თვით თანალიდერებიც არ იღებენ სერიოზულად, კაცს, რომელსაც ახალგაპარსულზე მხოლოდ მიკროფონით ყვირილი შეუძლია და „თხრა და გიგოს“ ანალიზი არ ძალუძს.

ნიკანორი გაოცებულია, როგორ შეუძლია ამ ხელისუფლებას არსებობა, როცა ჩვენ, მისი საპირწონე, შეუსვენებლად ვუთხრით სამარესო. იმასაც ამხელს, უსინდისო შეტევებით რატომ ხუთჯერ არ დავემხობოდითო. ვერ ხვდება, რომ მათი ხელისუფლება დიახაც დაეცემოდა, როგორც 2012-ში დაეცა, რადგან ოდენ ბოროტებაზე, უსამართლობასა და გადაჯიშებაზე იყო დაფუძნებული.

ამდენად ნიკანორ ბობოქარი იმ ლოთს ჰგავს, დილას რომ იცვამს და გაოგნებული კითხულობს, ვინ ჩამისაქმა შარვალშიო?

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ხელისუფლებამ უნდა გაისიგრძეგანოს, რომ იმდღევანდელი აქცია არც შემთხვევითი იყო და არც ერთჯერადი. თავის თავს დააბრალოს: სწორედ მისი უნიათობის, გაუბედაობის და ოპოზიციისადმი ყოვლად გაუმართლებელი რიდის შედეგი იყო. ახლა ჯინი ბოთლიდან ამოსულია! ნაციონალები — „ბოლშევიკებიც“ და „მენშევიკებიც“ კიდევ არაერთხელ ეცდებიან ასეთი აქციებით შეარყიონ ქვეყანა, რომლის არსებობაც და კეთილდღეობაც სულ ფეხებზე ჰკიდიათ. ოღონდ დაკარგული დაიბრუნონ, ოღონდ კვლავ მობრუნდნენ ხელისუფლებაში და ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა!... აკი დაუფარავად განაცხადა იმ გაპუტულმა ნიკა გვარამიამ, ჯოჯოხეთს მოგიწყობთო. აწყობენ კიდეც!

**ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ როცა და სადაც ძალა და სიმტკიცეა გამოსაჩენი, უნდა გამოიჩინოს. ოპოზიციასთან, თანაც ისეთთან, რომელიც კაცმა რომ თქვას, ოპოზიცია კი არა, ჩასაფრებული მტერია და ზურგს უკან აშკარად აქვს მომარჯვებული ხანჯალი და მომენტს უცდის, ყელი გამოგჭრას, ენის ჩლექვითი ლაპარაკი არ ეგების. სადაც მუშტის დარტყმაა აუცილებელი, უნდა დაარტყას. ხალხი ელოდება ამას, მისი მხარდამჭერი ხალხი, რომლის ძალისხმევითაც მეორედ მოვიდა ქვეყნის სათავეში. ეს ხალხი დაიღალა ამდენი გაურკვევლობით, გალაღებული ნაცების თავხედობითა და თვალში თითის ტაკებით, დაუსრულებელი პროვოკაციებით (დედაქალაქის მერისთვის სისხლის გაშრობით, თბილისის საკრებულოს ახალ-ახალი ინსინუაციებით, „ნაზღაიძის საქმით“, „ციანიდის საქმით“...), ბოლოს და ბოლოს, ამ ხალხსაც გაეღვიძება ქუჩაში გამოსვლის სურვილი!**



**ალეკო ასლანიშვილი**

# „მართლმადიდებელ ეკლესიასთან ბრძოლას თავისი გეოპოლიტიკური კონტექსტი აქვს“

**რა გზა გამოიარა ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ საუკუნეების განმავლობაში და რატომ ებრძოდნენ მას ლენინი, ტროცკი, ხრუშჩოვი და ლიბერასტები თუ ნეოტროცკისტები? ამის შესახებ** For.ge-ს **ექსპერტი ვახტანგ მაისაია ესაუბრა.**



**— ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ბოლო წლებში უამრავი შეტევა იწვნია, რაც ძირითადად ე. წ. „თავისუფლების ინსტიტუტებს“ ამოფარებული ადამიანებისგან მომდინარეობდა. ეკლესიას ებრძოდნენ დემოკრატობით შენიღბული ადამიანები. ეკლესიის პოზიცია კი ყოველთვის ასეთი იყო:**

**„კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნენ მას“; ეს ნიშნავს, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტს მაინც ვერაფერი შეარყევს. დღესაც ეკლესიასთან მიმართებით არაჯანსაღი პროცესები ვითარდება. ვინ დარჩება ამით მოგებული — გარეშე ძალები თუ შიდა დაპირისპირების მოსურნენი?**

— ზნეობრივი კრიტერიუმებიდან გამომდინარე, როგორც მრევლის წევრი, ნაკლებად ვცდილობ, ჩავერიო დედაეკლესიისა და ჩვენი სულიერი მოძღვრების შიდა საქმეებში. თუმცა ჩემთვის სამწუხარო იყო, რომ „რუსთავი-2“ შეეცადა, ჩემი სულიერი მოძღვარი, ჩემი უახლოესი მეგობარი, პროტოპრესვიტერი მამა გიორგი ზვიადაძე ცუდ კონტექსტში წარმოეჩინა. ეს ადამიანი ჩემთვის ზეაღმატებულია, „რუსთავი-2“ კი რასაც წარმოადგენს, ყველას კარგად მოეხსენება. „რუსთავი 2“-ს ერთგვარი პროვოცირება და პროცესების პოლიტიზაცია ახასიათებს. ბუნებრივია, მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ბრძოლას თავისი გეოპოლიტიკური კონტექსტი აქვს. ჯერ ერთი, რელიგია და ეკლესია ეს არის პოლიტიკური ინსტიტუტი და სახელმწიფო პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილი. ამას ნებისმიერი პოლიტოლოგი დაგიდასტურებთ. მეოთხე საუკუნიდან მართლმადიდებლობა ჩვენი ოფიციალური რელიგია გახდა, აქედან მოყოლებული, მართლმადიდებლობა პოლიტიკური ღირებულებაც გახდა ჩვენთვის, ამ ღირებულებისთვის ბევრი ადამიანი ეწამა საქართველოში და ეს იყო გეოპოლიტიკური დაპირისპირების პირდაპირი სარბიელი. ასე იყო 1918-21 წლებშიც, როცა საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა, ხოლო ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია დაიბრუნა.

**— მაშინაც გარედან ინსპირირებული იყო მოვლენები.**

— ბუნებრივია, მაშინაც მიმდინარეობდა ეს ბრძოლა. როგორც ჩანს, 1918-21 წლების ისტორიული პრეცედენტი მეორდება. მართლმადიდებლურ გეოსოციუმში, საზოგადოებაში ქართული ეკლესია უდიდეს როლს თამაშობს. ის ანეიტრალებს თუნდაც რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისგან მომდინარე საფრთხეს და გეოპოლიტიკურ კონტექსტშიც ასრულებს თავის მისიას. ის, რაც საქართველოს პირველმა, მეორე, მესამე და მეოთხე პოლიტიკურმა ხელისუფლებებმა ვერ შეძლეს, სწორედ ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ განახორციელა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალია დე ფაქტო აფხაზეთისა და ცხინვალის ტერიტორიაზეც ვრცელდება, ანუ თეოკრატიული ელემენტების ფორმატში იქაც ვრცელდება ჩვენი სარწმუნოებრივი იურისდიქცია.

**— ვის ინტერესშია ქართულ ეკლესიაში დაძაბულობა — რუსული თუ გლობალური ძალების?**

— აქ გეოპოლიტიკური ელემენტებიც არის. როგორც ჩანს, იკვეთება ორი ძალა. არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყოს ლიბერტარიანელებისგან დაწყებული ბრძოლა. ლიბერტარიანელები ისეთივე ათეისტები არიან, როგორებიც იყვნენ კომუნისტები და ანარქისტები. ნეოლიბერტარიანელების შემოტევა აშკარაა. დასავლეთში არის ასეთი მიმართულება — ნეოლიბერტარიანიზმი, ფაქტობრივად, ისინი წარმოადგენენ ტროცკისტულ მიმართულებას, ხოლო ამერიკაში ნეოკონსერვატორების სახითაა წარმოდგენილი ეს ძალა. ეს არის პროტესტანტული რელიგიური წიაღიდან აღმოცენებული პოლიტიზებული რადიკალური იდეოლოგიზებული ჯგუფი, რომელიც ებრძვის საქართველოს დედაეკლესიას. მეორე მხრივ, საქართველოს მართლმადიდებლურ სივრცეში რუსული ეკლესიის მხრიდან წამოსულ შეტევებსაც არ გამოვრიცხავ. აქ ერთმანეთს ერწყმის დასავლეთიდან ნეოლიბერტარიანელების შემოტევა, ხოლო ევრაზიელებიდან რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ზრახვები. როგორც მართლმადებელი, პატივს ვცემ რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ დააკარგვინა საქართველოს ავტოკეფალია, რელიგიური დამოუკიდებლობა.



XX საუკუნის ოციანი წლების ამსახველი ხატი

სხვათა შორის, ქართული ეკლესიის დიდი მიღწევა ის არის, რომ 1439 წელს სწორედ ქართული ეკლესიის განსაკუთრებული პოზიციის გამო ჩაიშალა ე.წ. უნიის აქტი. მოგეხსენებათ, კათოლიკური ეკლესიის მეთაურს ძალაუფლება უნდა აეღო ხელში და ბიზანტიის ფაქტორის გამო ის უნდა გამხდარიყო მართლმადიდებლური ეკლესიის მთავარი. ბიზანტიისა და ბერძნულმა ეკლესიებმა მიმართეს რომის პაპს, ანუ კათოლიკურ ეკლესიას, რომ ისინი მიეღოთ მის ქვეშევრდომობაში, რათა დაეცვათ თურქ-სელჩუკებისაგან. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციის გათვალისწინებით უნიის კავშირი არ შედგა, ჩვენ შევინარჩუნეთ მართლმადიდებლობა და ჭეშმარიტი რელიგიური ფასეულობები. 1801 წლიდან მოყოლებული, ჯერ აღმოსავლეთ, შემდეგ დასავლეთ საქართველოს ოკუპაციის კვალობაზე, რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ რელიგიური დამოუკიდებლობაც დაგვაკარგვინა.

**— ამითაც აიხსნება, რომ „რესპუბლიკელებმა“ ელვის უსწრაფესად მოითხოვეს საპატრიარქოსთვის დაფინანსების შეწყვეტა?**

— რა თქმა უნდა, „რესპუბლიკელების“ იდეოლოგია ნეოლიბერტარიანულია. ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ, ლიბერალურსა და ლიბერტარიანულს შორის დიდი განსხვავებაა. მიხეილ სააკაშვილმაც ლიბერტარიანული იდეოლოგიის დამკვიდრება დაიწყო საქართველოში, ოღონდ ამერიკული ნეოკონსერვატორული ელემენტების თანხლებით.

ლიბერტარიანიზმის აპოლოგეტი იყო ერთიანი „ნაციონალური მოძრაობა“, რომლის ფლანგშიც თავის დროზე მოიაზრებოდნენ „რესპუბლიკური პარტია“ და მათი სტრატეგიული კოალიციის წევრები. როდესაც ისინი ასეთ განცხადებას აკეთებენ, მათ ავიწყდებათ, რომ ქრისტიანულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დადებულია კონკორდატი და ამით გამოკვეთილია ქრისტიანობის როლი. რატომ არ არის კონკორდატი დადებული სხვა რელიგიური აღმსარებლობის მიმართ? იმიტომ, რომ მართლმადიდებლობის როლი ქვეყნის პოლიტიკური სისტემის განვითარების საქმეში უდიდესია. ეს უნდა გვიხაროდეს, რადგან ჩვენ ვართ მართლმადიდებლობის ფორპოსტი, მათ შორის, პოლიტიკურ სამყაროშიც. ამით ვამაყობ, რომ მე ვარ მართლმადიდებელი და მე ვარ ქართველი. ასე დავაყენებდი ამ ფორმულირებას და, ვინც როგორც უნდა ისე შეხედოს ამ ფაქტს, სულაც არ მაინტერესებს. „მე ვარ მართლმადიდებელი და მე ვარ ქართველი“, მე მგონი, ეს უნდა იყოს მთავარი პრელუდია და არა ის, რომ „მე ვარ ევროპელი და მე ვარ ქართველი“. ბუნებრივია, მე ევროპელიც ვარ, მაგრამ ჯერ მართლმადიდებელი და მერე უკვე ქართველი ვარ. ქართული ენა იყო ქართველობის გამომხატველი სიმბოლო, რომელზეც პირველად მოევლინა ქართული რელიგიური წერილობითი დოკუმენტები. ამას ემატება ქართულად მიმდინარე წირვა-ლოცვაც, ეს ყველაფერი მიღწევაა, რადგან ბევრ ერს ასეთი ფუფუნება არც გააჩნია.

**— კონკორდატის თანახმად, განსაკუთრებული როლი იმიტომაც მიენიჭა ქართულ ეკლესიას, რომ საბჭოთა რეპრესიების დროს, სხვა კონფესიებისგან განსხვავებით, ყველაზე მეტი ზარალი მას მიადგა.**

— გეთანხებით, ყველაზე მეტად რეპრესირებული ჩვენი ეკლესია იყო, გვყავდნენ რეპრესირებული სასულიერო პირები, თუნდაც გავიხსენოთ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას მოწამეობრივი ცხოვრება და მოღვაწეობა. ამას ემატება ისიც, წლების განმავლობაში აკრძალული იყო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის არსებობა, რასაც დაერთო ხრუშჩოვის უპრეცედენტო შემოტევა ქართულ ეკლესიაზე. ასე რომ, ჩვენი ეკლესიის პირველი მტერი იყო ლენინი და ტროცკი, ბუნებრივია, სტალინიც. თუმცა სტალინმა მერე აღადგინა ეკლესიები.

**— ეკლესიები ომის შემდეგ აღადგინა. თორემ, მანამდე ებრძოდა და უამრავი სასულიერო პირი შეიწირა.**

— დიახ, მაგრამ რომ აღადგინა, ეგეც კარგია. სტალინი მაინც ათეისტი იყო. ტროცკი კი თავიდანვე ებრძოდა ქართულ ეკლესიას. ტროცკის შთამომავლებმა კი გააგრძელეს ბრძოლა ეკლესიასთან სააკაშვილისა და მისი მიმდევარი ნეოლიბერტარიანელების სახით. ისტორია მეორდება.

**ესაუბრა**

**მანანა ნოზაძე**

# იუსტიციის სამინისტროს საბერძნეთის დელეგაცია ეწვია

**თეა წულუკიანი საბერძნეთის ადმინისტრაციული რეფორმებისა და ელექტრონული მმართველობის მინისტრ ოლგა იეროვასილის შეხვდა. შეხვედრას სა-**



**ბერძნეთის ადმინისტრაციული რეფორმებისა და ელექტრონული მმართველობის სამინისტროს კაბინეტის უფროსი იოანა პაპამიჰაილი და იუსტიციის მინისტრის მოადგილეები ალექსანდრე ბარამიძე, მიხეილ სარჯველაძე და გიორგი პატარიძე ესწრებოდნენ.**

საბერძნეთის დელეგაცია საქართველოში იუსტიციის სახლებისა და საზოგადოებრივი ცენტრების კონცეფციისა და მუშაობის სპეციფიკის გასაცნობად ჩამოვიდა. ვიზიტი გასულ წელს საქართველოსა და საბერძნეთის პრემიერ-მინისტრების შეხვედრაზე დაიგეგმა.

შეხვედრის შემდეგ თეა წულუკიანმა და ოლგა იეროვასილიმ მემორანდუმი გააფორმეს, რომლის თანახმადაც, ქართული მხარე საბერძნეთს სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით არსებულ პრაქტიკას გაუზიარებს.

მემორანდუმის მიზანია, დაეხმაროს მხარეებს თითოეული მოქალაქისათვის სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში, „ღია მმართველობა — პარტნიორობის“ ინიციატივით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში, ელექტრონული მმართველობის დანერგვაში.

# გრანტი ლაგოდეხის ნაკრძალისთვის

**კავკასიის ბუნების ფონდსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს შორის საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდა, რომელსაც ხელი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა თამარ კვანტალიანმა და კავკასიის ბუნების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯორჯ ჯეფ ჯაკომინმა მოაწერეს.**



ხელშეკრულების თანახმად, კავკასიის ბუნების ფონდი 240 000 ევროს ოდენობის გრანტს გამოყოფს, რაც მოხმარდება ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობას 2017-2019 წლებში. კერძოდ, მოხდება სახელფასო დანამატების გაცემა, ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და აღდგენა, მიმდინარე ხარჯების თანადაფინანსება, აღჭურვილობისა და ავტოპარკის განახლება, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისთვის უკვე მესამედ მოხდა კავკასიის ბუნების ფონდის მიერ გრანტის გამოყოფა, მანამდე მსგავსი ხელშეკრულებები გაფორმებული იყო 2011 და 2014 წლებში.

ამჟამად, საერთო ჯამში, კავკასიის ბუნების ფონდი ათი დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციას აფინანსებს.

# მაღალჩინოსნების სამედიცინო დახმარებაზე ბიუჯეტიდან 1,5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა

**ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირთა და მათი ოჯახის წევრთა გეგმიური სამედიცინო დახმარების ხარჯების ანაზღაურებისთვის 1,5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.**

სამინისტროდან მიღებული ოფიციალური წერილის თანახმად, იმ ადამიანების სახელები და გვარები, ვის სამედიცინო მომსახურებასაც სახელმწიფო ბიუჯეტი ანაზღაურებს, კონფიდენციალურია. ამავე წერილით გვიდასტურებენ, რომ ამ პიროვნებებს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობები უკავიათ.

ჯანდაცვის სამინისტროდან დღემდე ველით ინფორმაციას, თუ რამდენმა უმაღლესმა თანამდებობის პირმა ისარგებლა დაზღვევის ამ პაკეტით დღემდე.

ამჟამინდელი და ყოფილი მაღალჩინოსნების სამედიცინო ხარჯებს რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა ანაზღაურებს. ამ პროგრამის მიზანია:

**„ა) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით;**

**ბ) პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ მძიმე და განუკურნებელი სენით დაავადებულ მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელისაგან გათავისუფლების მიზანშეწონილობის თაობაზე შესაბამისი დასკვნის მომზადება.“ იმ ადამიანების საშუალო თვიური შემოსავალი, რომლებიც ამ პროგრამიდან ფინანსდებიან 3,790 ლარიდან იწყება და მაქსიმუმ 7,764 ლარს აღწევს.**



2017 წელს მაღალი თანამდებობის მქონე პირებისა და მათი ოჯახის წევრების გეგმიური სამედიცინო დახმარების ხარჯებს რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამიდან 310 000 ლარით დააფინანსებს.

რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამიდან ცალკე გამოიყოფა ფული ყოფილი მაღალჩინოსნებისა და მათი ოჯახის წევრების სამედიცინო დაზღვევისთვისაც. 2016 წელს ამისათვის 5,000 ლარი იყო გამოყოფილი, იგივე თანხაა გათვალისწინებული 2017 წლის ბიუჯეტშიც.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხა მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევისთვისაცაა გამოყოფილი (საქართველოს მოქალაქეების საშუალო თვიური ხელფასი 900,4 ლარია), თუმცა, წელს ამ პროგრამაში ცვლილებები შედის. 2017 წლის 1 მარტიდან საყოველთაო დაზღვევა მხოლოდ იმ ადამიანებს მოემსახურება, ვისაც ინდივიდუალური ან კორპორატიული დაზღვევა არა აქვს. მთავრობის 2017 წლის 9 თებერვლის დადგენილების მიხედვით, დაახლოებით 120,000-მდე ადამიანი, ვინც აქამდე მხოლოდ მინიმალური პაკეტით სარგებლობდა, ამიერიდან გაუმჯობესებულ სადაზღვეო პაკეტს მიიღებს. დაახლოებით 150,000 ადამიანი კი, ვინც „დაშენებული დაზღვევის“ პაკეტით სარგებლობს (ანუ მისი კორპორატიული/ინდივიდუალური დაზღვევა ფარავდა იმ ხარჯებს, რასაც არ ფარავდა საყოველთაო დაზღვევა) ბაზისური სამედიცინო დაზღვევის გარეშე დარჩება. მაგალითად, მათ სახელმწიფო აღარ აუნაზღაურებს ჰოსპიტალურ ან ონკოლოგიურ ხარჯებს. ეს კი იმას გამოიწვევს, რომ ბაზისური დაზღვევის ხარჯები კერძო პირებმა და კომპანიებმა თავად უნდა დაფარონ. სადაზღვევო კომპანიები ამბობენ, რომ ცვლილებები კერძო და კორპორატიულ დაზღვევას 5-10%-ით გააძვირებს. უფრო მეტიც, „სადაზღვევო ასოციაცია“ სამინისტროს გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს.

ცვლილება არ შეეხებათ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებს, ვინაიდან მათ სამედიცინო ხარჯებს სახელმწიფო პროგრამა ანაზღაურებს. ამ პროგრამის ბიუჯეტი კი უკვე გაწერილი და პარლამენტის მიერ დამტკიცებულია.

IFACT.GE

# ქარიშხალი ჭიქაში თუ... მორიგი შემოლაწუნება?

## რა საფრთხეს შეიცავს ლავროვის განცხადებები საქართველოზე?



**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის კომენტარი, რომელიც მან მიუნხენში უსაფრთხოების 53-ე კონფერენციის მსვლელობისას ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ისა და რუსული მედიასაშუალებების ჟურნალისტებთან გააკეთა, საქართველოში განსჯისა და განხილვის საგნად იქცა. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ქართულ მხარეს სერგეი ლავროვის განცხადებებზე არაადეკვატური რეაქცია აქვს.**

19 თებერვალს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა თქვა, ამიერკავკასიასა და მთლიანად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ექსტრემისტები, ტერორისტები და ნარკომოვაჭრეები ხშირად იყენებენ თავიანთ მარშრუტებშიო. მსგავსი განცხადება მან ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ გააკეთა. მაშინ თქვა, რომ ე. წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები პანკისის ხეობას წვრთნებისთვის, დასვენებისა და მომარაგებისთვის იყენებენ, 19 თებერვალს კი ქართველ და რუს ჟურნალისტებთან საუბრისას სერგეი ლავროვმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ საქართველოდან მომდინარე საფრთხეების გამო, რუსეთთან უვიზო რეჟიმის ამოქმედების საკითხი რთული გადასაწყვეტია: **„როდესაც ჩვენ დავალაგებთ სრულფასოვან ურთიერთობებს რუსულ და ქართულ სამართალდამცავ ორგანოებს შორის, როდესაც ყველა ეს რისკი ორივე მხრიდან მაქსიმალურად იქნება აღკვეთილი, მაშინ, ალბათ, შესაძლებელი იქნება ვილაპარაკოთ სავიზო რეჟიმის შემსუბუქებაზე. ასეთი თანამშრომლობის დალაგება რთულია დიპლომატიური ურთიერთობების არაარსებობის პირობებში“.**

სერგეი ლავროვის განცხადებას 19 თებერვლიდან მოყოლებული, 21 თებერვლის ჩათვლით, საქართველოს მთავრობა ოფიციალურად არ გამოხმაურებია, 21 თებერვალს კი პრესკონფერენციაზე, ჟურნალისტების კითხვაზე პასუხად კომენტარი გააკეთა ზურაბ აბაშიძემ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში. მისი თქმით, პირადად ის არ არის მომხრე, რომ მსგავს განცხადებებზე გაუაზრებელი და მოუფიქრებელი პასუხი გაიცეს. გარდა ამისა, მისივე თქმით, სერგეი ლავროვის განცხადება ამიერკავკასიიდან წამოსული საფრთხეების შესახებ ეწინააღმდეგება იმ რეალობას, რომელიც ასახავს საქართველოში შემოსული ტურისტების რაოდენობის მაჩვენებელს: „შარშან ჩვენ გვქონდა რეკორდული რაოდენობა ტურისტებისა – **დაახლოებით, 1 მილიონი ტურისტი ჩამოვიდა რუსეთიდან. ეს ციფრი და ის, რომ უცხოელი ტურისტები საქართველოში ძალიან კომფორტულად გრძნობენ თავს, არის დასტური იმისა, რომ ჩვენში უსაფრთხოების ხარისხი მაღალია. ამაზე მეტყველებს მრავალი კვლევა და საერთაშორისო ორგანიზაციებიც ადასტურებენ. ამიტომ ბატონი ლავროვის სიტყვები იმის თაობაზე, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი ხდება „ბოევიკების“, ტერორისტების, ექსტრემისტების მარშრუტად, საქართველოსთან მიმართებაში არანაირად არ არის მართებული, ამას ჩვენ ვერანაირად ვერ მივიღებთ.** რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თვით რუსეთიდან სირიასა და ერაყში გასულია რუსეთის, დაახლოებით, 2 000 მოქალაქე. ამგვარად, რუსეთის მხარის გადასაწყვეტია, თუ რანაირ სავიზო რეჟიმს აირჩევს საქართველოს მოქალაქეებისთვის. ჩვენ მათ ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ მოვახვევთ თავს. თუ გადაიდგმება ნაბიჯი იმ მიმართულებით, რომ კიდევ უფრო გამარტივდეს სავიზო რეჟიმი ჩვენი მოქალაქეებისთვის, ჩვენ ამას მივესალმებით, თუ გააუქმებენ, ამასაც მივესალმებით, მაგრამ ეს მათი პრეროგატივაა“.

კიდევ ერთი განცხადება, რომელიც სერგეი ლავროვმა ჟურნალისტებთან საუბრისას 19 თებერვალს მიუნხენში გააკეთა, ეხება ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისს, რომელმაც მიიღო ნებართვა 2008 წლის აგვისტოს ომში კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ სამხედრო დანაშაულებათა გამოძიების დაწყებისა. სერგეი ლავროვი სასამართლოს პროკურორ ფატუ ბენსუდას „ცალმხრივი პოზიციის გამო“ ადანაშაულებს და ასეთ ვითარებაში 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიებაში თანამშრომლობას არ აპირებს. მისი სიტყვებით, პროკურორმა სრული იგნორირება გაუკეთა ყოვლისმომცველ მასალებს, რომლებიც სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და რუსეთის ფედერაციის მიერ იყო წარდგენილი. სერგეი ლავროვის სიტყვებით, ეს დოკუმენტები აბსოლუტურად უპირობოდ ადასტურებდნენ, რომ კონფლიქტი საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ 2016 წლის 16 ნოემბერს, ვლადიმირ პუტინის განკარგულების საფუძველზე, რუსეთი საბოლოოდ გაემიჯნა რომის სტატუტს, ანუ უკან გაიწვია 2000 წლის 13 სექტემბრით დათარიღებული თავისი ხელმოწერა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებაზე (რომის სტატუტზე) და ამით საბოლოოდ უარყო ჰააგის ტრიბუნალის სამართალი.

**„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი სალომე სამადაშვილი ფიქრობს, რომ საქართველოს ხელისუფლებას არაადეკვატური დამოკიდებულება და რეაქცია აქვს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებებზე: „ვიცით, რომ რუსეთი ცალსახად ადანაშაულებს საქართველოს 2008 წლის ომში და ეს ახალი არ არის, მაგრამ შემაშფოთებელია ის, რომ ეს განცხადება დღეს უპასუხოდ რჩება. ჩვენ ვშიშობთ, რომ რუსეთის საგარეო უწყება ცდილობს, ქართული მხარე ჩაითრიოს თანამშრომლობის იმ ფორმატებში, რომელიც საზიანო იქნება ჩვენი ქვეყნის ინტერესებისათვის და რეალურად დაეხმარება რუსეთს ჩვენს ქვეყანაში საკუთარი ინტერესების გატარებაში“.**

საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი გიორგი გობრონიძე, საუბრისას ამბობს, რომ სერგეი ლავროვის განცხადებები მიუნხენში საქართველოსთვის უცხო არ არის, თუმცა იმასაც ამბობს, რომ ეს განცხადებები საკმაო რისკის შემცველია იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთის ფედერაცია ღიად აცხადებს თავის სტრატეგიულ დოკუმენტებში, რომ მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ტერორისტული საფრთხის შემთხვევაში ძალას გამოიყენებს. გიორგი გობრონიძის თქმით, ამის მაგალითია სირია, სადაც რუსეთი სწორედ ტერორისტული საფრთხის ეგიდით შევიდა. გიორგი გობრონიძე ფიქრობს, რომ საქართველოს მსგავს განცხადებებზე მუდმივად უნდა ჰქონდეს მზად პასუხი: „რუსეთის ფედერაციის ნაბიჯებზე ჩვენი რეაგირება, მრჩება შთაბეჭდილება, რომ არის ზედმეტად მოზომილი, „არ გავაღიზიანოთ“ პრინციპით ვმოქმედებთ თითქოს და ამ დროს იქიდან საერთოდ არ ფიქრობენ იმას, ჩვენ გავღიზიანდებით თუ არა. შესაბამისად, მე მგონია, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ უფრო მეტად აქტიურები, მაგრამ ისეც არ უნდა მოვიქცეთ, რომ ყველაფერზე, რასაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ილაპარაკებს, ჩვენ თავის მართლების რეჟიმში ჩავდგეთ. ანუ ჩვენმა დიპლომატიამ საერთაშორისო არენაზე უნდა შექმნას იმის რეალური განცდა, რომ საქართველოს ასეთი ოდიოზური ფიგურების ოდიოზურ განცხადებებზე თავის გასამართლებელი არაფერი სჭირს“.

**„რადიო თავისუფლება“**

# მსახიობი გურამ ჯაში გაძარცვეს და სასტიკად სცემეს!

**მარჯანიშვილის თეატრის ცნობილი მსახიობი გურამ ჯაში გუშინწინ გვიან ღამით დააყაჩაღეს და სასტიკად სცემეს. ამ დროისთვის მსახიობი კლინიკაში იმყოფება. მისი მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ მას ტრეპენაცია დასჭირდა. გურამ ჯაშის დაყაჩაღების შესახებ ინფორმაციას მისი კოლეგები ადასტურებენ.**

# რამაზ ბოლქვაძე: სახელმწიფოს ხარჯზე ხელის უკანონოდ მოთბობა არავის შერჩება

შპს „ჰიგიენა 2009-ში“ აღმოჩენილი დარღვევებსა და ფინანსურ შეუსაბამობებზე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის რამაზ ბოლქვაძის განცხადებას ავრცელებს.

**„შპს „ჰიგიენა 2009-ში“ აღმოჩენილი დარღვევებისა და ფინანსური შეუსაბამობების შესახებ ჩვენ დაუყოვნებლივ ვაცნობეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს. საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით, მიმდინარეობს გამოძიება. მინდა განვაცხადო: სახელმწიფო სახსრების მითვისება და სახელმწიფოს ხარჯზე ხელის უკანონოდ მოთბობა არავის შერჩება. ყველა კანონდამრღვევი კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება. კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, ამ ეტაპზე მიმდინარეობს გამოძიება და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ იქნება დადგენილი.დაველოდოთ გამოძიების შედეგებს. აქვე მინდა აღვნიშნო,რომ ნაგავსაყრელის პროექტის განხორციელება ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება“,** – აცხადებს რამაზ ბოლქვაძე.

CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION

# საქართველოს მთავრობას მასშტაბური ავარიების პრევენციების საკითხებში ჩეხი კოლეგები გვეხმარებიან

**ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსდა პროექტი „საქართველოში მასშტაბური ავარიების პრევენციების საკითხში შესაძლებლობების განვითარება“, რომელიც 2014 წლის ნოემბერში დაიწყო.**

პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს ჩეხი ექსპერტების მიერ, მასშტაბური ავარიების პრევენციის (მაპ-ი) სფეროში, საკუთარი გამოცდილების გაზიარება საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთვის.

ჩეხეთის რესპუბლიკა, პროექტის ფარგლებში, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მეშვეობით, საქართველოს სხვადასხვა ინსტიტუციებს ეხმარება საკანონმდებლო ჩარჩოს მომზადებასა და დანერგვაში. ამ გზით, საქართველოში მზადდება საფუძველი მაპ-ის პრობლემატიკის სისტემური გადაწყვეტისთვის, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან, ევროკავშირის რეგულაციებთან და ასევე UNECE TEIA კონვენციასთან.

პროექტის ფარგლებში, არსებული კანონმდებლობის ევროკავშირის რეგულაციებთან და შესაბამის საერთაშორისო გარემოსდაცვით კონვენციებთან ჰარმონიზაციისთვის შემუშავდა კანონპროექტი, შესაბამისი რეკომენდაციები, მეთოდიკები და დადგენილებები. გარემოს დაცვის ინსპექციას გადაეცა ნიმუშის ასაღები და დაბინძურების დასადგენი აღჭურვილობა, რაც საველე სამუშაოებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით საშიში ავარიის შემთხვევაში.

პროექტის მთავარ პარტნიორს წარმოადგენს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, თუმცა, პროექტში, ასევე აქტიურად არის ჩართული შინაგან საქმეთა სამინისტრო და ეკონომიკის სამინისტრო.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე ინტენსიური ტრენინგი საკანონმდებლო საკითხებზე, საინსპექციო მეთოდებსა და ავარიის შემთხვევაში სინჯების აღების მეთოდებზე. შემაჯამებელი ტრენინგი და შემუშავებული კანონის საჯარო პრეზენტაცია გაიმართება თბილისში, 2017 წლის 27 თებერვლიდან პირველი მარტის ჩათვლით.

# თათრეთის ავიაკომპანია ქართულ ბაზარზე შემოსვლას გეგმავს

**თათრეთის ავიაკომპანია UVT Aero ამ დროისათვის შიდა რეისებს ასრულებს, თუმცა 2017 წლის მეორე ნახევრიდან საერთაშისო რეისების განხორციელების ნებართვის მოპოვების იმედი აქვს.**




UVT Aero-ს გეგმაშია ფრენების დაწყება საქართველოს, ბელარუსის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებით. უფრო კონკრეტულად კი UVT Aero საქართველოს მიმართულებით რეისებს თბილისისა და ბათუმის მიმართულებით აანონსებს.

ამ დროსათვის აეროპორტ „ყაზანიდან“ მხოლოდ ერთი საერთაშორისო რეისი ხორციელება. ბაქოს მიმართულებით რეისებს აზერბაიჯანული ავიაკომპანია „Azal“-ი ასრულებს. თათრული ავიაკომპანიის მიერ საერთაშორისო რეისების დაწყებას ოპტიმისტურ შეფასებას აძლევს კომპანია UVT-ის (კომპანია, რომელიც ავიაბილეთებს ყიდის) გენერალური დირექტორი აზამატ საბიროვი. თუმცა საბიროვი კომპანიის მიერ საქართველოში ორი მიმართულებით ფრენის დაწყებას სკეპტიკურად უყურებს.

**„რაც შეეხება თბილისს — ეს ძალიან კარგი მიმართულებაა და ის გაამართლებს. მიმაჩნია, რომ რეისი ყაზანი-თბილისი საკმარისი იქნება და თბილისიდან ბათუმში ჩასვლა ავტომობილითაცაა შესაძლებელი“,** — აცხადებს აზამატ საბიროვი.

◎ მაღლივი კორპუსების ბედი

# რასაც აშენებენ, ყველაფერი დასანგრევია?!



**პარლამენტში არქიტექტორებისა და ინჟინრების მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ინიციატივა შევიდა. კანონპროექტი ითვალისწინებს სამშენებლო სფეროში ლიცენზირება-სერტიფიცირების შემოღებას, რათა მშენებლობა მხოლოდ პროფესიონალებმა განახორციელონ.**

აღნიშნულ ინიციატივას მიესალმება და დაგვიანებულადაც მიიჩნევს ტექნოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ორგანიზაცია „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ ხელმძღვანელი ანზორ საკანდელიძე. მისი აზრით, აქამდეც მშენებლობა მხოლოდ პროფესიონალებს რომ განეხორციელებინათ, ასეთ სავალალო შედეგამდე არ მივიდოდით.

**„სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს ცვლილებები. არაფერი საძებნელი არ არის, ძველად არსებობდა სალიცენზიო კანონმდებლობა, რომელიც გააუქმეს და ის უნდა აღდგეს. უნდა ვიცოდეთ, მშენებლობის დამწყებს რეალურად რა პროფესია აქვს, სამშენებლო ინდუსტრიაში გამოცდილება თუ გააჩნია, სტაჟირება სად გაუვლია. პირველ რიგში, ლიცენზია არ უნდა მისცენ ისეთ კომპანიებს, რომლებსაც არ აქვთ საკუთარი სამშენებლო ლაბორატორია. ადრე ლიცენზიების გაცემისას სწორედ ეს იყო პირველი მოთხოვნა და, ვისაც თავისი სამშენებლო ლაბორატორია არ ჰქონდა, უარს ეუბნებოდნენ. სხვათა შორის, ადრე ამას აკეთებდა კომპანია „არსი“, იგი დღესაც მოქმედია, მაგრამ რაღაც არ ჩანს, ეტყობა, სამშენებლო ბაზარზე პრობლემები შეექმნა. ამ დეველოპერულ კომპანიას „მონოლითმშენთან“ ჰქონდა კონტრაქტი და ისე აშენებდა ობიექტებს. „მონოლითმშენი“ კი მშენებლობის სამინისტროს ერთ-ერთი გამორჩეული სამშენებლო ტრესტი იყო, რომელსაც საკუთარი ლაბორატორია, რკინა-ბეტონის ქარხანა ჰქონდა, ლაბორატორიულად ხდებოდა საქარხნო შემოწმება. შემდეგ უკვე საშენი მასალების ინსტიტუტი ამოწმებდა აშენებულს, ე.ი. ორმაგი კონტროლი ხორციელდებოდა, იყო ურთიერთკონტროლი და ბეტონის უხარისხობაზე აღარავინ ლაპარაკობდა“,** — აცხადებს ანზორ საკანდელიძე.



მისივე თქმით, თუკი კანონმდებელი მკაცრად მოითხოვს, რომ მშენებლობა მხოლოდ პროფესიონალებმა განახორციელონ, ეს მშენებლობის პროცესს შეაბრკოლებს, მაგრამ კარგი იქნება, თუ ნაკლები რაოდენობის ნაგებობებს ააშენებენ, რადგან რასაც აშენებენ, ყველაფერი დასანგრევია. განსაკუთრებით, ეს ეხება მაღლივ კორპუსებს, სადაც ელემენტარულ კანონს არღვევენ, ვინაიდან არ შეიძლება რკინა-ბეტონის კარკასული შენობა 12 სართულზე მაღალი იყოს. მართალია, საზღვარგარეთ ცათამბჯენები შენდება, მაგრამ იქ სულ სხვა ტექნოლოგიებია. აქ კი ნახევარი საუკუნის წინანდელი სამშენებლო ტექნოლოგიით მუშაობენ და იმ ტექნოლოგიით, რაც ჩადებულია კონკრეტული შენობის კონსტრუქციულ ნაწილში, არაფრით შეიძლება 12 სართულზე მეტის აშენება. ეს შენობები მერიის ზედამხედველობის სამსახურმა უნდა შეამოწმოს, რადგან, რაც თბილისის ტერიტორიაზე შენდება, საბოლოო ჯამში, უნდა ჩაიბაროს მერიამ და მხოლოდ ამის მერე შევიდეს ხალხი საცხოვრებლად. სამწუხაროდ, ამ ელემენტარულ ნორმებს საქართველოში არავინ აქცევს ყურადღებას.

**„ამის პრეცედენტი ჩვენ შევქმენით, როცა ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიაზე 12-სართულიანის ნაცვლად 32-სართულიანი სახლი შენდებოდა. სამი სასამართლო მოვიგეთ და შევაჩერებინეთ მშენებლობა. ეს შეზღუდვა რკინა-ბეტონის კარკასულ შენობას შეეხება, თორემ ე.წ. ურიგელო შენობებში, სადაც სართულების მთლიანი დაბეტონება ხდება, არ შეიძლება 5 და 7 სართულზე მეტი ააშენონ. ამ დროს 5 და 7-სართულიანის ნაცვლად, 30-სართულიანებია აშენებული. პროფესიონალები უცხოეთში არიან, ან სახლში სხედან და არ მუშაობენ. არავის პროფესიას არ ვაკნინებ, მაგრამ სამშენებლო სფერო ხელში ჩაიგდეს ბანკირებმა, ექიმებმა, იურისტებმა, მშენებლობის გაგებაში რომ არ არიან. პროფესიონალი მშენებელიც არ აიყვანეს, არ ემეტებათ ფული, რომ პროფესიონალი დააყენონ ობიექტზე, მაინცდამაინც იაფფასიან მუშახელს დაეძებენ. გაუმაძღრობას იჩენენ, 200-300 და 500%-იან მაქსიმალურ მოგებაზე არიან ორიენტირებული. ხალხის უსაფრთხოებას არაფრად დაგიდევენ. ამიტომ უნდა შეჩერდეს მშენებლობები, განსაკუთრებით, 5 სართულზე ზემოთ მაღალი მშენებლობა ყველა შესამოწმებელია და ეს კანონი 2010 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს“.**

„მენაშენეთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ირაკლი როსტომაშვილი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ არქიტექტორებისა და ინჟინრების მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ინიციატივა დროულია, რადგან არა მარტო სამშენებლო, არამედ ნებისმიერი საქმე უნდა განახორციელონ პროფესიონალებმა.

**„სამშენებლო სფეროში ყველა დეტალი მნიშვნელოვანია, დაწყებული გეოლოგიური კვლევიდან, დამთავრებული ფასადის მოპირკეთებით. მე მგონია, რომ ახლანდელი მოწვევის პარლამენტი უფრო წინ უნდა წავიდეს, ეს ინიციატივა უნდა განაზოგადოს და ყველა დარგში შემოიღოს ლიცენზირება. ყველას უნდა ჰქონდეს შესაბამისობის სერტიფიკატი“.**

**მანანა ნოზაძე**

# მევენახეთა ხელშესაწყობად

**მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრაცია ონლაინ რეჟიმში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე** www.acda.gov.ge **21 მარტამდე გაგრძელდება.**

სასოფლო-სამეურნეო
კოოპერატივების
განვითარების სააგენტო

პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კოოპერატივს 100 ტონა ყურძნის პირველადი გადამუშავებისათვის საჭირო აღჭურვილობა გადაეცემა, ხოლო კოოპერატივმა — საწარმოს შენობა-ნაგებობის მოწყობა უნდა უზრუნველყოს.

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობისათვის დადგენილი პირობებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 20 მეპაიეს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს ან/და მის მეპაიეებს საკუთრებაში უნდა გააჩნდეთ არანაკლებ 20 ჰა ფართობი ვენახი, რომელშიც გაშენებული უნდა იყოს ვაზის შემდეგი ჯიშები: რქაწითელი, საფერავი, კახური მწვანე, ხიხვი, ქისი, გორული მწვანე, ჩინური, ცოლიკაური, ციცქა, კრახუნა, ალექსანდროული, ოჯალეში, ჩხავერი, ალადასტური, უსახელოური, მუჯურეთული, წულუკიძის თეთრა (რაჭული).

სახელმწიფო პროგრამა მოიცავს ტექნიკურ დახმარებასაც, რომლის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ჩაუტარდებათ სწავლება როგორც ღვინის საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ საკითხებზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა სპეციფიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

პროგრამაში მონაწილე კოოპერატივის წევრებს საშუალება ეძლევათ სარგებელი ყურძნის რეალიზაციის გარდა, უკვე ღვინის რეალიზაციიდან მიიღონ.

ვერნისაჟი

# იყო კაცი და იყო... ფარვანა



კიდევ ერთი მართლაც „არაჩვეულებრივი გამოფენის“ მომსწრენი გახდნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზის სტუმრები 21 თებერვალს, სადაც უდროოდ გარდაცვლილი შესანიშნავი მხატვრის **თეიმურაზ ცხოვრებაშვილის** ნამუშევართა გამოფენა, მასზე გამოცემული ალბომის წარდგინება და მოგონებათა საღამო გაიმართა, რომელიც დაბადებიდან 70 და გარდაცვალებიდან 20 წლისთავს მიეძღვნა.

**„თემურ ცხოვრებაშვილის შემოქმედების ერთადერთ წინაპირობას ობიექტთან უშუალო, არამოტივირებული კონტაქტი წარმოადგენს. ქმედება, რომელიც განისაზღვრება არა შეძენილი უნარ-ჩვევებით, არამედ სპონტანური აქტით“,** — წერს მხატვრის საიუბილეოდ საგანგებოდ გამოცემული ალბომის წინასიტყვაობაში მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე **ილიკო ზაუტაშვილი** და ამ ორი წინადადებით, ჩემი აზრით, უზუსტესად ახასიათებს მაყურებელთან შემოქმედის ურთიერთობის განუმეორებელი ხელწერის ორიგინალურ ხერხს. მხატვრისა და ფერმწერის საოცრებათა იდუმალ სამყაროს თუნდაც ნაკლებად ნაზიარები მნახველის შეხების ეს ფორმა, როცა ტილოზე, როგორც ამას ბატონი ილიკო ზაუტაშვილი ბრძანებს, „პალიტრის ლაქობრივი და ფერწერული დიაპაზონი ხაზგასმულად ვრცელია, თავისუფალია და წინასწარ არ განისაზღვრება“, ამ უკანასკნელს სამყაროს იმწუთიერი მხატვრისეული აღქმის პროცესის ერთგვარ თანაავტორად აქცევს.

გამოფენაზე თემურ ცხოვრებაშვილის სამ ათეულამდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი იყო წარმოდგენილი, რომლებიც ამჟამად კერძო კოლექციებშია დაცული. მეტის თავმოყრა გამოფენის ორგანიზატორებმა, მხატვრის მეუღლემ **ნინო ტომარაძემ** და ძმამ, ასევე მხატვარმა **ნუგზარ (ბუძა) ცხოვრებაშვილმა** იმის გამო ვერ შეძლეს, რომ უამრავი ნამუშევარი ქვეყნის საზღვრებს გარეთაა გატანილი, მათგან ზოგი კერძო პირთა, ზოგიც მუზეუმების საკუთრებაა.

თემურ ცხოვრებაშვილის ნიჭსა და არც თუ ხანგრძლივ შემოქმედებით გზაზე ყველაზე უკეთ, ცხადია, მისმა ტილოებმა მოუთხრეს შეკრებილ საზოგადოებას, მაგრამ განსაკუთრებული სითბო და ერთგვარი შინაური განწყობა შეიქმნა დარბაზში, როცა მხატვარზე მოკლე მოგონებებით გამოვიდნენ მხატვრები **გია ბუღაძე, გიორგი ბადურაშვილი, ყარამან ქუთათელაძე,** ხელოვნებათმცოდნე **სამსონ ლეჟავა,** პოეტი **კოტე ყუბანეიშვილი,** მეუღლე **ნინო ტომარაძე**.

თემურ ცხოვრებაშვილის ნამუშევართა გამოფენის სტუმრებს შესანიშნავი სიურპრიზი ელოდათ: საგანგებოდ ამ დღისთვის გამოიცა მხატვრის არაჩვეულებრივად დასურათებული ალბომი. ამ მართლაც დიდებული წიგნის მთავარი გმირი, რაღა თქმა უნდა, თავად თემური, რომელსაც ახლობელ-მეგობრები, სულაც ყველანი ხუმრობით „ბულდოგას“ ვეძახდით, და მისი შემოქმედებაა, თუმცა კი განსაკუთრებულ ხიბლს გამოცემას მისი ახლობლების პატარ-პატარა მოგონებები ანიჭებს, ხოლო ამ მწკრივში უდავოდ გამორჩეულია ჩვენი კოლეგისა და მეგობრის **მამუკა ვაშაკიძის** ესსე „ფარვანა, მეტსახელად „ბულდოგა“.

**„რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან სინათლის ირგვლივ მოფარფატე ფარვანები? ერთნაირად აჭრელებიათ ფრთები, ერთნაირ, უცნაურ ფარვანულს ასრულებენ წრეზე — ზოგი მოშორებით სანთლის ალისგან, ზოგნიც, ყველაზე თამამნი ახლოს, თითქოს ალს „ევალსებიან“...**

**...იყო კაცი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, იყო „კაცი აბსტრაქცია“. ერთმანეთში გაერთიანებული მუსიკა, სითბო, ერთგულება, მხატვრობა, ქუჩა, ბოჰემა, დაუნდობლობა დაუნდობელთა მიმართ, ბეღურას გული გაჭირვებულთათვის, სულით მდიდარი და ცხოვრებით ღარიბი, ვიოლინო, ყალამი, ფუნჯი, პალიტრა, როიალი, მეუღლე, მოუღლელი მუშტი, კეთილი ძმა, კარგი შვილი, ალალი, მკაცრი და... იყო ფარვანა, ეშინოდა თუ ვერ ეპუებოდა ჩაკეტილ სივრცეს“,** — წერს მამუკა ვაშაკიძე და უმალ ცოცხლად წარმოგვიჩენს ჩვენს დაუვიწყარ მეგობარსა და უნიჭიერეს მხატვარს თემურ ცხოვრებაშვილს.





**ოთარ ტურაბელიძე**

არის ასეთი აზრიც

# ყოვლად დაუშვებელია თვითმფრინავის გამტაცებლების გმირებად მიჩნევა!

**1983 წელს, როდესაც საქართველოს მოქალაქეებმა თვითმფრინავი გაიტაცეს, რასაც უდანაშაულო მგზავრთა ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა, სახელმწიფოს ძირგამომთხრელი, არალეგალური საქმიანობისათვის სასჯელს ვიხდიდი ურალის ერთ-ერთი მკაცრი რეჟიმის სპეცბანაკში. მაშინ მთელმა მსოფლიომ დაგმო თვითმფრინავის გამტაცებელთა ყოვლად გაუმართლებელი ქმედება. რასაკვირველია, პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებულებმაც ამ შემზარავი დანაშაულის შესახებ თავიანთი მოსაზრება გამოთქვეს: „ნუთუ საქართველოში ვერ აცნობიერებენ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა სახელმწიფო არ უშვებს თვითმფრინავის გატაცების უმსხვერპლოდ დამთავრების ერთ ფაქტსაც კი“. ვაი, რომ აცნობიერებდნენ, მაგრამ...**

გასაკვირი ის იყო, რომ ამ დანაშაულის ჩამდენ ინდივიდებს დამცველებად მოევლინა ქართველი ინტელიგენცია. ეს კი სერიოზულად დასაფიქრებელია.

— ჩვენთან რამდენიმე ადამიანი თვითმფრინავის გატაცების მცდელობის გამო სასჯელს იხდიდა, მაგრამ არც ერთი მათგანის ქმედებას ადამიანის მსხვერპლი არ გამოუწვევია. ამ ადამიანებთან პოლიტიკოსებს არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდათ, შეიძლება ითქვას, ისინი ჩვენგან ბოიკოტირებული იყვნენ. პოლიტპატიმრები იმასაც კი ამბობდნენ, თუ ქართველი თვითმფრინავის გამტაცებლები ჩვენს ბანაკში მოხვდებიან, მათ სრულ ბოიკოტს გამოუცხადებდნენ და „ზონაში“ მეორე სასამართლოს მოუწყობდნენ.

ერთ მაგალითს მოვიყვან: თვითმფრინავის გატაცების მცდელობისთვის ლიტველი ჩიმაკაიტისი თხუთმეტწლიან სასჯელს იხდიდა. რაში მდგომარეობდა მისი დანაშაული? — ვილნიუსში თვითმფრინავში ერთი ბიდონი წყალი აიტანა. თვითმფრინავის ფრენისას ამ ბიდონით ეკიპაჟის კაბინაში შევარდა და მფრინავებს მოსთხოვა კურსი შეეცვალათ და საზღვარგარეთის რომელიმე აეროდრომზე დაესვათ თვითმფრინავი, თორემ ბენზინით სავსე ბიდონს ააფეთქებდა. მფრინავებმა ყველაფერი გაითვალისწინეს და ჩიმაიკაიტისს ულტიმატუმის შესრულებაზე უარი არ უთხრეს. სინამდვილეში თვითმფრინავი დასვეს ლენინგრადის აეროდრომზე. ჩიმაკაიტისი უმალვე „აიყვანეს“ და სადაც ჯერ იყო, იქ მოათავსეს. მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. შემდგომში დახვრეტა 15 წლით შეუცვალეს და ჩვენთან ერთად იხდიდა სასჯელს. როდესაც ვეუბნებოდით — ნამდვილი ბენზინით რატომ არ გაავსე ბიდონიო, დაუფიქრებლად ასე გვპასუხობდა: მართლაც რომ გადამტრიალებოდა „შარიკი“ და ამეფეთქებინა თვითმფრინავი, ამდენი მგზავრის სიცოცხლე ჩემს ახირებულ სურვილს შეეწირებოდა, რას ვეტყოდი უფალს, თავს როგორ ვიმართლებდი... ჩემი თავი ჯანდაბას! 10 წელიწადი უკვე მოვიხადე, 5 დამრჩა, მასაც მალე მოვიხდი, სამაგიეროდ, ჩემს ქმედებას არავითარი გართულებები არ გამოუწვევია. მართალია, საკუთარი თავი ძლიერ დავაზარალე, მაგრამ ბოროტი ზრახვებისაგან საბოლოოდ განვიწმინდე, ამიერიდან წინდახედულად ვიცხოვრებ და ჩემი უგუნური ქმედებით სხვას ვნებას არ მივაყენებო.

ასეთი იყო უბრალო ლიტველი მოქალაქის აღსარება, ხოლო საქართველოში დღემდე ვერ გაუცნობიერებიათ, თუ რა დიდი დანაშაული ჩაიდინეს თვითმფრინავის გამტაცებლებმა და მათზე ამ ბოლო დროს კინოფილმიც კი შეუქმნიათ, სადაც ის იდეაა გატარებული, რომ თავისუფლებისმოყვარული ადამიანებისთვის არავითარი დაბრკოლება არ არსებობს. მის სურვილებს რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე რომ ეწირება, მათ შორის, ბავშვებისა, ეს ქმედება უკვე არაფრით განსხვავდება მანიაკი მკვლელის დანაშაულისგან. მანიაკს კიდევ რაღაცით გამართლება აქვს, — ის ავადმყოფია, ხოლო როდესაც ფსიქიკურად ნორმალური ადამიანები არაფრად აგდებენ უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლეს, — ეს უკვე ახალი და გაუგონარი „ფენომენია“, რასაც საქართველოში ჰქონდა ადგილი 1983 წელს.



ჩვენი ღირსეული მამულიშვილები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, ნიკო მარი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები დაუფარავად წერდნენ ქართველი ხალხის მანკიერ მხარეებზე. ამჟამად ასე არ ხდება. მით უმეტეს, როდესაც ქართველმა ხალხმა გამოიარა ბოლშევიკური მმართველობის ხანა, ხოლო შემდგომში ურაპატრიოტებმა საერთოდ უგულებელყვეს ყოველგვარი ჟეშმარიტება და დაამკვიდრეს ვოლუნტარისტული გაგება ცხოვრების ყველა სფეროში.

გაზეთებში ყოველდღე უნდა იწერებოდეს ამა თუ იმ უარყოფით მოვლენაზე, რაც დღეს დადებითადაა მიჩნეული. იგივე ქმედებით უნდა გამოირჩეოდეს ელექტრონული მედია. საწინააღმდეგო მოვლენებს კი აქვს ადგილი: სისულელე ჭეშმარიტებად საღდება, ანტიგმირობა — გმირობად და ასე ამ თანამიმდევრობითა და მიდგომით.

დროა, ბოლო მოეღოს ამას, ქართველი ხალხი, ბოლოს და ბოლოს, ამოვიდეს ბუყბუყა ჭაობიდან, რაც მას ხშირად ვარდ-ყვავილებით აღსავსე გარემო ჰგონია!

**ვაჟა ჟღენტი**

# სამხრეთ ოსეთი-ალანეთი?

**საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ „RADIO FRANCE INTERNATIONALE“-ს („საფრანგეთის საერთაშორისო რადიოს“) მიერ ეთერში გადაცემულ მიმოხილვაში ყურადღება სამ ძირითად თემას აქვს დათმობილი: ა) „სამხრეთ ოსეთში“ დაგეგმილ რეფერენდუმს სახელის გადარქმევის თაობაზე; ბ) რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებას აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთზე გამავალ „სავაჭრო დერეფნების“ შესახებ შეთანხმების ამოქმედების თაობაზე; გ) ბელარუს-საქართველოს ურთიერთობა და რუსეთის ფაქტორი.**



## ა) „სამხრეთ ოსეთი“, ანუ „ალანეთი“?!

რადიოსიუჟეტში ამ თემაზე საკმაოდ ვრცლადაა გადმოცემული „სამხრეთ ოსეთში“ 9 აპრილს დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების დროს რეფერენდუმის ჩატარების შესახებაც, რომლის მიზანს რესპუბლიკისთვის სახელწოდების შეცვლა წარმოადგენს. პრეზიდენტ ლეონიდ თიბილოვის გადაწყვეტილებით, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის შეთავაზებული კითხვა ასეთია: „ეთანხმებით თუ არა, რომ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას ამიერიდან ეწოდებოდეს „სამხრეთ ოსეთი — ალანეთი“, ხოლო ტოპონიმ „ალანეთს“ „სამხრეთ ოსეთის“ თანაბარი მნიშვნელობა ჰქონდეს?“. ნიშანდობლივია, რომ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მყოფ ჩრდ.ოსეთს დიდი ხანია ჰქვია „ალანეთიც“ (ანუ „ჩრდილოეთ ოსეთი — ალანეთი“). თუ სამხრეთ ოსეთის ელექტორატის უმრავლესობა რეფერენდუმზე დასმულ კითხვას დადებითად უპასუხებს, მაშინ რესპუბლიკის სახელწოდება ასეთი იქნება: „სამხრეთ ოსეთი — ალანეთი“.

ლეონიდ თბილოვის თქმით, რესპუბლიკა თავისი დამაარსებლების, ანუ ალანების — ინდოევროპული ოჯახის სკვით-სარმატული წარმოშობის ტომების სახელს უნდა ატარებდეს, რომლებიც ოდესღაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ აზოვისპირეთსა და კავკასიის მთისწინეთში. ამავე დროს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ შენარჩუნდება „სამხრეთ ოსეთიც“, რადგან სწორედ ამ სახელით შეინარჩუნა რესპუბლიკამ თავისი დამოუკიდებლობა. ამრიგად, კავკასიაში ჩნდება ორი რესპუბლიკა, რომლის სახელწოდებაში „ალანეთი“ ფიგურირებს.

დამკვირვებლების აზრით, სამხრეთ ოსეთისთვის სახელის გადარქმევა ორი რესპუბლიკის გაერთიანებისაკენ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, რომელიც შემდეგ რუსეთის სუბიექტი გახდება — „ჩრდილოეთად“ და სამხრეთად“ გაყოფის გარეშე („ოსეთი-ალანეთი“).

„თბილისმა, როგორც მოსალოდნელი იყო, რეფერენდუმის დანიშვნის თაობაზე მწვავე რეაგირება მოახდინა“, — აღნიშნულია რადიოსიუჟეტში. ავტორი ციტირებს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადებას, რომელშიც მკაცრადაა დაგმობილი „ცხინვალის რეგიონის“ დე ფაქტო ხელისუფლების გეგმები. „მოვუწოდებ საერთაშორისო თანამეგობრობას რეაგირებისკენ, რადგანაც ამგვარი უკანონო რეფერენდუმები და პლებისციტები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას წარმოადგენს“, — ასეთია პრეზიდენტის რეაქცია, თუმცა... აშკარაა, რომ ამგვარი განცხადებები სიტუაციას ვერ შეცვლის: ამას წინათ ცხინვალში რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვი იმყოფებოდა, რომელმაც მხარი დაუჭირა „პრეზიდენტობის მთავარ კანდიდატს“ ლეონიდ თიბილოვს.

## ბ) სომხეთის როლი „სავაჭრო დერეფნების“ შეთანხმების რეანიმაციაში

**პრაღაში საქართველოს პრემიერის სპეცწარმომადგენლის ზურაბ აბაშიძისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის ამასწინანდელ მოლაპარაკებაზე გადაწყდა, რომ მხარეები დაიწყებდნენ ჯერ კიდევ 2011 წლის ხელმოწერილი და, შეიძლება ითქვას, ერთგვარი უნიკალური დოკუმენტის - შეთანხმების „საბაჟო ადმინისტრირებისა და ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმის შესახებ“ პირობების შესრულებას.**

თუ „მშრალი“ დიპლომატიური ენიდან „ვთარგმნით“, ამ დოკუმენტის არსი შემდეგში მდგომარეობს: რადგანაც საქართველო და რუსეთი ვერც ახლა და, როგორც ჩანს, ვერც უახლოეს მომავალში ვერ შეძლებენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსებზე მოლაპარაკებას, ორი მეზობელი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებისა და სამხრეთ კავკასიაში სატრანსპორტო კავშირების განმტკიცებისათვის იქმნება ე.წ. „სავაჭრო დერეფნები“, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებზე გაივლის და რომლებშიც ტვირთების მოძრაობას ნეიტრალური შვეიცარიის კომპანია გააკონტროლებს.



შეთანხმებაში მოცემულია „დერეფნების“ კოორდინატებიც, გეოგრაფიული სახელწოდებების გარეშე. 2011 წლის შეთანხმება აშშ-ის შუამავლობით განხორციელდა, საქართველოს კომპრომისით, როცა რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრად იღებდნენ.

პრაღაში გამართულ შეხვედრაზე მომხდარ „გარღვევაში“ (როგორც ექსპერტები ამბობენ), მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მეზობელი სომხეთის დაინტერესებამ, რომელსაც რუსეთთან ერთადერთი სატრანსპორტო არტერია — საქართველოს სამხედრო გზა (თბილისი-ყაზბეგი-ვლადიკავკაზი) აკავშირებს. მაგრამ ეს გზა პრობლემურია — რთული რელიეფისა და კლიმატის გამო ხშირად პარალიზებულია. მისგან განსხვავებით, ავტომაგისტრალი გორი-ცხინვალი-როკი-ვლადიკავკაზი შედარებით უფრო საიმედო და მოხერხებულია, ხოლო ზუგდიდი-სოხუმი-სოჭის მიმართულებით საერთოდ არანაირი ბუნებრივ-კლიმატური თუ გეოგრაფიული დაბრკოლება არ არსებობს. როგორც ჩანს, სომხეთის წარმომადგენლები მოსკოვსა და თბილისში აქტიურად მუშაობდნენ, რათა რუსეთთან დამაკავშირებელი გზის ალტერნატივა ეპოვათ. ბოლო დრომდე ერევნის ძალისხმევა, ერთი შეხედვით, გადაულახავ პოლიტიკურ ბარიერს აწყდებოდა: სად უნდა ყოფილიყო საქართველოს საბაჟოს ადგილმდებარეობა. რასაკვირველია, თბილისი არანაირად არ დათანხმდებოდა, რომ ტვირთების შემოწმება-კონტროლი აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლების კონტროლქვეშ არსებულ ტერიტორიაზე მომხდარიყო, რადგან ეს ამ ე.წ. „რესპუბლიკების“ დამოუკიდებლობის აღიარებად იქნება აღქმული. 2011 წლის შეთანხმება, რომელიც, სხვათა შორის, წინა „ნაციონალური“ მთავრობის დროს გაფორმდა, ერთი მხრივ, შესაძლებლობას იძლევა ეს დაბრკოლება „რბილად“ იქნეს გვერდავლილი, ანუ არ შეეხოს „ფეთქებადსაშიშ“ პრობლემას - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსს, ხოლო მეორე მხრივ, თუ რუსეთი, საქართველოსთან ვაჭრობის (ტვირთების მოძრაობის) მიზნით, თანახმაა დაუშვას შვეიცარიელი დამკვირვებლები თავის საზღვარზე აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, ამით მოსკოვი საბაბს იძლევა სიტუაციის სხვადასხვანაირად ინტერპრეტირებისათვის.

თბილისის დაინტერესება რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების შემდგომი განვითარებით და მოსკოვის ინტერესი — დახმარება გაუწიოს თავის სტრატეგიულ მოკავშირე სომხეთს — ეს ის მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებმაც პოზიტიური როლი შეასრულეს. ორივე მხარე კომპრომისზე წავიდა. ვნახოთ, რას იზამს ოპოზიცია, რომელიც პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის მთავრობას ხშირად აკრიტიკებს „ქვეყნის ინტერესების დათმობის“ გამო.

## გ) პრორუსული მინსკი პრორუსულ თბილისთან ხიდებს აგებს

**რუსეთთან რთული და არაერთმნიშვნელოვანი ურთიერთობის ფონზე საქართველოს, გარკვეულწილად, მოულოდნელი მოკავშირე გამოუჩნდა: თბილისში ბელარუსის მრეწველობის მინისტრი მოადგილე ალექსანდრე ოგოროდნიკოვი ჩამოვიდა და საქართველოს ვიცე-პრემიერ დიმიტრი ქუმსიშვილთან შეხვედრისას განაცხადა, რომ „ბელარუსს სურს მონაწილეობა მიიღოს საქართველოში განხორციელებულ პროექტებშიო“.**

როგორც ცნობილია, ბელარუსი რუსეთის ფედერაციის ყველაზე ახლო მოკავშირეა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში და, შესაბამისად, მინსკელი ჩინოვნიკის გამოჩენა თბილისელი ვიცე-პრემიერთან მნიშვნელოვანი „ტრენდის“ (ტენდენციის) გამოვლენაა პრორუსულ ბელარუსთან ურთიერთობაში. გავიხსენოთ, რომ 2008 წლის ხუთდღიანი ომის“ შემდეგ ბელარუსმა, მოსკოვის დაბეჯითებითი თხოვნის მიუხედავად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა არ აღიარა. გარდა ამისა, წლების განმავლობაში ის ქართველები, რომლებიც რუსეთის ვიზა არ ჰქონდათ, რუსეთში ბელორუსის გავლით შედიოდნენ. 2015 წელს კი თბილისში ვიზიტის დროს პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ საქართველოს „ლეგენდარული ქვეყანა“ უწოდა.

ბელარუსის მცდელობები საქართველოსთან კონტაქტების აქტივიზაციისაკენ, ალბათ, იმ რთული პოლიტიკური თამაშების გამოვლენაა, რომელსაც მინსკი მოსკოვთან აწარმოებს, მით უმეტეს, რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობის ბოლოდროინდელი გაუარესების ფონზე. ამასთან, საქართველოსთვის ეს ტენდენცია არის თანამშრომლობის მნიშვნელობის დადასტურება იმ ქვეყანასთან, რომელიც რუსეთის ახლო მოკავშირეა და რომელსაც იმავდროულად აქვს იმის შესაძლებლობა, რომ გარკვეული გავლენა მოახდინოს რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე „ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებთან“.

**„RFI/RADIO FRANCE INTERNATIONALE“ (საფრანგეთი)**

### რუსეთს სანქციები უნდა შეუნარჩუნდეს!

**შეერთებული შტატებსა და ევროკავშირს რუსეთის სანქციებთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია აქვთ. ეს განცხადება გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გაეროში შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა გააკეთა. ნიკი ჰეილის თქმით, სანამ მოსკოვი უკრაინას ყირიმს არ დაუბრუნებს, რუსეთის წინააღმდეგ სანქციები უნდა შენარჩუნდეს.**

### იანუკოვიჩს სამშობლოში დაბრუნება სურს

**იანუკოვიჩი უკრაინაში დაბრუნებაზე ოცნებობს. ამის შესახებ მან რუს ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა. ყოფილი პრეზიდენტის თქმით, ის სამშობლოში სიამოვნებით დაბრუნდებოდა და ქვეყნის აღდგენის პროცესში მიიღებდა მონაწილეობას. იანუკოვიჩმა უკრაინის მოქმედი ხელისუფლება სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა და ევროკავშირს მაიდნის მოვლენების გამოძიებისკენ მოუწოდა.**



### მხარდამჭერი ბანერი თავისუფლების ქანდაკებაზე

**„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მიგრანტებო! “ — ამ შინაარსის ბანერი გამოჩნდა ნიუ ორკში თავისუფლების ქანდაკებაზე. 6 მეტრის სიგრძის ბანერი მონუმენტს უცნობებმა დაამაგრეს. თავისუფლების ქანდაკებაზე წარწერების ან პლაკატების დამაგრება კანონით იკრძალება. ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკის წინააღმდეგ შეერთებულ შტატებში საპროტესტო აქციები პერმანენტულად იმართება.**

### მოსულში თავი გუანტანამოს ყოფილმა პატიმარმა აიფეთქა

**თვითმკვლელი ტერორისტი, რომელმაც მოსულში მასშტაბური ტერორისტული აქტი მოაწყო, გუანტანამოს ციხის ყოფილი პატიმარი იყო. აბუ ზაქარიამ თავი თალ გაისუმის ამერიკულ ბაზასთან აიფეთქა. მისი ნამდვილი სახელი რონალდ ფიდლერია. ის ბრიტანეთის მოქალაქე იყო. ტერორიზმში ეჭვმიტანილი ფიდლერი 2001 წელს პაკისტანში დააკავეს და მომდევნო წელს გუანტანამოს ციხეში გადაიყვანეს. მას შემდეგ, რაც ფილდერმა გამოძიებასთან ითანამშრომლა, ის ციხიდან გაათავისუფლეს.**

### მერკელი შულცს 3 პროცენტით უსწრებს



**ანგელა მერკელი წინასაარჩევნო რეიტინგში დაწინაურდა. ერთობლივი გამოკითხვა ჟურნალმა სტემმა და ტელერადიოკომპანია ერტეელმა ჩაატარა. გამოკითხვის შედეგებით, მოქმედ კანცლერს მხარს რესპონდენტთა 39 პროცენტი უჭერს, მის მთავარ კონკურენტს მარტინ შულცს კი 36-პროცენტიანი მხარდაჭერა აქვს. გასულ კვირას მერკელი შულცს რეიტინგში მხოლოდ 1 პროცენტით უსწრებდა.**

### უამინდობა კალიფორნიაში

**ხანგრძლივმა სეზონურმა წვიმამ მდინარეების ადიდება გამოიწვია, რის შედეგადაც ათობით დასახლებული რაიონი დაიტბორა. ყველაზე მეტი ზარალი სტიქიამ სან-ხოსეს მიაყენა, საიდანაც 225 ადამიანი დროებით თავშესაფრებში გადაიყვანეს. ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ ჯერჯერობით არ გავრცელებულა.**

დედაქალაქი

# შიმშილობა დაფერფლილი „ბავშვთა სამყაროს“ გამო

**ვაგზლის მოედანზე აწ უკვე ყოფილი სავაჭრო ცენტრის „ბავშვთა სამყაროს“ ცეცხლით განადგურების შემდეგ აგერ უკვე სამი კვირა გავიდა, მის ტერიტორიაზე განთავსებული ოქროს ბირჟის ხელოსანთათვის და მოვაჭრეთათვის მიყენებული ზარალით გამოწვეული ვნებათაღელვა კი დღითი დღე მატულობს.**

20 თებერვალს კი, დაზარალებულთა დაახლოებით 350-კაციანმა ჯგუფმა ყოფილი სავაჭრო ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე პროტესტის ნიშნად კარვები გაშალა და შიმშილობა დაიწყო. ბუნებრივია, ჩვენ ამ ისედაც უაღრესად მტკივნეული პროცესის ასეთი გამწვავების მიზეზით დავინტერესდით და დაზარალებულებს გავესაუბრეთ, რომელთა პრეტენზიების არსი შემდეგია: ისინი ერთხმად აცხადებენ, რომ, მართალია, თბილისის მერიის წარმომადგენლებთან ხშირი ურთიერთობა აქვთ, იქაური პასუხისმგებელი პირები რეგულარულად აკითხავენ, საქმიანობის გასამართავად სხვადასხვა ბაზრობაზე შესაბამისი ადგილების შეღავათიანი პირობებით გამოყოფასაც ჰპირდებიან, მაგრამ მთავარი პრობლემები, რომლებიც ხალხს აქვს, ესაა მიყენებული ზარალის ანაზღაურება და კომერციულ ბანკებთან ურთიერთობები. ამდენად, მოთხოვნა, რომელსაც დაზარალებული მოვაჭრეები მერიის მესვეურთ უყენებენ, სერიოზული ზარალის დედაქალაქის მერიის მიერ ანაზღაურებაა და მათი დახმარება კომბანკების წინაშე არსებულ დავალიანებათა გადავადებაშია. სხვა შემთხვევაში მათი უმეტესი ნაწილი, ვისაც სესხების უზრუნველსაყოფად ბანკებში საკუთარი საცხოვრისები აქვთ დაგირავებული, თავიანთი ოჯახების წევრებთან ერთად ღია ცის ქვეშ რჩებიან!

აქციის ადგილზე მოშიმშილეებმა სახელდახელო სტენდებიც მოაწყვეს, რომლებზეც მათი განადგურებული ყოფილი სამუშაო დახლების ფოტოებია განთავსებული, ასევე გამოკრულია მათი მოთხოვნების ჩამონათვალი, რომელთა უპირობო შესრულებამდე შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებენ. მათგან უმთავრესია **„ვითხოვთ დაზარალებული ხალხისთვის კომპენსაციის მიცემა“**, სხვები კი უფრო განსხვავებული ტონალობისაა: მაგალითად: „პარლამენტარებო, ჩვენ თქვენი ამომრჩევლები ვართ!“ „გვშია და გვწყურია!..“

დღეს შიმშილობის მესამე დღეა...

**ოთარ მერიშვილი**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**









პროკურატურის განცხადება

# ვანო მერაბიშვილი საკნიდან არავის გაუყვანია!

**საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სასჯელაღსრულების დაწესებულების საკნიდან ივანე მერაბიშვილის შესაძლო გაყვანის ფაქტზე მიმდინარე გამოძიება დაასრულა.**

როგორც პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ჩატარებული გამოძიებით, ვანო მერაბიშვილის მიმართ მის მიერ გაცხადებული დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა.

**„საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სასჯელაღსრულების დაწესებულების საკნიდან ივანე მერაბიშვილის შესაძლო გაყვანის ფაქტზე მიმდინარე გამოძიება დაასრულა. ჩატარებული გამოძიებით, არ დადასტურდა ივანე მერაბიშვილის მიმართ მის მიერ გაცხადებული დანაშაულის ჩადენის ფაქტი.**

**საზოგადოებას შევახსენებთ, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში 2016 წლის 21 ივნისს დაიწყო გამოძიება, ცალკეულ საჯარო მოხელეთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2016 წლის 14 ივნისს მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, საქმეზე „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-18 მუხლის, მე-5 მუხლის პირველ პუნქტთან ერთობლიობაში დარღვევა, ცალკეული გარემოებების გამო. ამ გარემოებათა შორისაა ივანე მერაბიშვილის ბრალდებები 2013 წლის 14 დეკემბერს მისი №9 პენიტენციური დაწესებულებიდან სავარაუდო გაყვანისა და მასზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ.**

**საქმე შეეხება 2013 წლის 17 დეკემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე ივანე მერაბიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას, სადაც მან აღნიშნა, რომ 2013 წლის 13-14 დეკემბრის ღამეს, დაახლოებით 01:30 საათზე, იგი გამოიყვანეს №9 პენიტენციური დაწესებულებიდან და მიიყვანეს, სავარაუდოდ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, სადაც მასზე მაშინდელმა მთავარმა პროკურორმა ოთარ ფარცხალაძემ განახორციელა**



**ფსიქოლოგიური ზეწოლა.**

**ივანე მერაბიშვილის ზემოაღნიშნული განცხადების ირგვლივ, 2013 წლის 20 დეკემბერს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება, რომელიც 2014 წლის 14 იანვარს დასრულდა. სამსახურებრივი შემოწმებით არ დადასტურდა ივანე მერაბიშვილის მიერ გაცხადებული ფაქტი, მისი საკნიდან უკანონო გაყვანასთან დაკავშირებით, რის გამოც აღნიშნულ ფაქტზე არ დაიწყო გამოძიება.**

**გარდა სამსახურებრივი შემოწმებისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2016 წლის 14 ივნისს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ივანე მერაბიშვილის მიერ 2013 წლის 17 დეკემბერს გაკეთებულ განცხადებაში მოყვანილი ზემოაღნიშნული გარემოებების გადამოწმების მიზნით, საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ჩატარდა ყველა შემხვედრი, აუცილებელი საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედება.**

**საქმეზე ჩატარებული ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიებით, არ დადასტურდა და გამოირიცხა ივანე მერაბიშვილის 2013 წლის 14 დეკემბერს №9 პენიტენციური დაწესებულებიდან უკანონო გაყვანის ფაქტი, რის გამოც საქართველოს პროკურატურამ საქმეზე გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო შეწყვიტა.**

**მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობა ივანე მერაბიშვილს და დასახელებულ სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე მის ადვოკატებს, რომელთაც პროკურატურის მიერ განემარტათ შესაძლებლობა, მათთვის მისაღებ დროს სრულად გაეცნონ საქმის მასალებს“,** — ნათქვამია განცხადებაში.

# საქართველოს სამრეწველო პროდუქციის ფასების ინდექსი 9,8 %-ით გაიზარდა

**საქართველოში წარმოებული პროდუქცია ძვირდება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ზრდა არის როგორც წინა თვის, ისე გასული წლის მაჩვენებელთან მიმართებით. 2017 წლის იანვარში, 2016 წლის დეკემბერთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი 2,3 %-ით გაიზარდა, ხოლო 2016 წლის იანვართან შედარებით, ინდექსი 9,8 პროცენტითაა გაზრდილი.**



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, 2017 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ფასები გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე 1,1 %-ით გაიზარდა, რაც ინდექსის მთლიან მაჩვენებელში 0,90 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასების ზრდა აღირიცხა ძირითად ლითონებსა და ლითონის მზა ნაწარმზე (2,9 პროცენტი) და კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (0,5 პროცენტი). მიმდინარე წლის იანვარში, გასული წლის დეკემბერთან შედარებით, სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე ფასები 3,1 პროცენტით გაიზარდა, რამაც ინდექსის ცვლილებაში 0,14 პროცენტული პუნქტი შეიტანა.

მონაცემები აჩვენებს, რომ ყველაზე დიდი ზრდა ნავთობპროდუქტებზე მოდის, რაც, თავისთავად, ყველა სხვა პროდუქტის წარმოების ფასზე აისახება. საქართველოში, მოგეხსენებათ, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების ზრდის ტენდენციას დაემატა ხელისუფლების მიერ გაზრდილი აქციზის განაკვეთი და, შესაბამისად, ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყლის ფასები იანვარში, გასული წლის დეკემბერთან შედარებით, 9,5 პროცენტით გაიზარდა და ინდექსის ზრდაში 1,24 პროცენტული პუნქტი შეიტანა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ერთწლიან პერიოდს თუ გავაანალიზებთ, 12-თვიან პერიოდში ინდექსის ფორმირებაზე ძირითადად გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ პროდუქტებზე:

- გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია: ფასები გაიზარდა 8,8 პროცენტით და შესაბამისმა წვლილმა ინდექსის პროცენტული ცვლილების საერთო მაჩვენებელში 7,03 პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა ძირითად ლითონებსა და ლითონის მზა ნაწარმზე (48,3 პროცენტი);
- ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი: ფასები გაიზარდა 10,9 პროცენტით და, შესაბამისად, ამ ზრდამ 1,90 პროცენტული პუნქტი შეიტანა მთლიანი ინდექსის ცვლილებაში;
- სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია: ფასები გაიზარდა 25,7 პროცენტით, რაც 0,88 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე.

**ირინა გურული**

## ვითიბი ბანკში სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სესხების 19 პროცენტია გალარებული

**ვითიბის ინფორმაციით, ამ მომენტისთვის ბანკის იმ სესხებიდან, რომლებიც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გალარებას ექვემდებარება, 19 პროცენტია გალარებული.**

**პროგრამა 17 იანვარს დაიწყო და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი, დოლარში აღებული სესხის ლარში გადაყვანას გულისხმობს. პროგრამის პირობების თანახმად შესაძლებელია მაქსიმუმ 40 000 დოლარის მოცულობის სესხის ლარში გადაყვანა არსებულ კურსს მინუს 20 თეთრის გათვალისწინებით. ამასთან ერთად, თუ სესხის მოცულობა აღემატება დაწესებულ ლიმიტს, შესაძლებელია მისი ნაწილის, მაქსიმუმ 40 000 დოლარის, გალარება.**

**აღნიშნული პროგრამით სუბსიდირებას ექვემდებარება 2015 წლის პირველ იანვრამდე ფიზიკური პირების ან ინდმეწარმეების მიერ აშშ დოლარში აღებული და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები. გალარების პროგრამა 17 მარტამდე გრძელდება.**

ჭადრაკი

# მეოთხეს ტაი-ბრეიკი გამოავლენს



**ორიოდე რაუნდიც და ირანის დედაქალაქ თეირანში დამთავრდება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც 64 საუკეთესო დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი ჩაება. ტიტულის მაძიებელთა შორის საქართველოს რვა წარმომადგენელიც იყო. მათგან მეოთხედფინალს მხოლოდ ნანა ძაგნიძე შემორჩა, რომელიც მეოთხე ეტაპზე ინდოელ ჰარიკა დრონავალის დაუპირისპირდა. პირველ კლასიკურ პარტიაში ნანამ 39-ე სვლაზე საყაიმო პოზიციაში შეცდომა დაუშვა და ის ხელი დათმო. სამაგიეროდ, განმეორებითი პარტია მოიგო და წონასწორობა აღადგინა - 1:1. მათ შორის უძლიერესს ტაი-ბრეიკი გამოავლენს, ხოლო იქ გამარჯვებული ნახევარფინალში ჩინელ თან ჩჟუნის შეხვდება. ამ უკანასკნელმა შავი ფიგურებით ჩემპიონატის რეიტინგ-ფავორიტს, თანამემამულე ცზიუ ვენძიუნს სძლია 1.5:0.5.**

ასეთივე ანგარიშით უკრაინელმა ანა მუზიჩუკმა მსოფლიოს და ევროპის ექს-ჩემპიონ ანტოანეტა სტეფანოვას (ბულგარეთი) აჯობა, ხოლო, ასევე, მსოფლიოს და ევროპის ექს-ჩემპიონმა ალექსანდრა კოსტენიუკმა (რუსეთი) ნი შიციუნი (ჩინეთი) დაამარცხა. ფინალში გასასვლელად სწორედ მუზიჩუკი და კოსტენიუკი ითამაშებენ.

**გივი გაგუა**

ჩოგბურთი

# თებერვალი ბასილაშვილის თვეა

**საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა წლეულს თებერვალში არნახულ წარმატებებს მიაღწია: 3-5 თებერვალს თბილისში დევისის თასზე ორ ფინელს მოუგო, მერე ბულგარეთის დედაქალაქ სოფიის საერთაშორისო ტურნირზე მეორე ადგილის დაკავებით მსოფლიო რეიტინგში 20 საფეხურით დაწინაურდა. მემფისის (აშშ) ღია პირველობაზეც მეორე იყო, რასაც კიდევ 14-ადგილიანი ნახტომი მოჰყვა და ახლა კლასიფიკაციაში 53-ეა. ქართველი ჩოგბურთელი, ეტყობა, აქ გაჩერებას არ აპირებს: ზედიზედ მესამე დიდ ტურნირში ჩაება — დელრეი ბიჩის ღია პირველობაში, რომლის სტარტზეც სამ სეტში დაამარცხა გერმანელი ტომი ჰაასი — 6:7, 7:6, 6:2 და მომდევნო წრეში 32 წლის ბელგიელ სტივ დარსისს (57-ე) შეხვდება.**



ანტალიაში ქალთა 15.000-იან ტურნირში წარმატებით აიღო სტარტი ეკატერინე გორგოძემ: მესამე ნომრად განთესილმა ჩვენებურმა პირველ წრეში მასპინძელი ექინ ერჩეთინი დაჯაბნა — 6:0, 6:1 და მერვედფინალში კიდევ ერთ თურქს - იპექ ოზის შეხვდება. ამ უკანასკნელმა გუშინ უკრაინელ ალიონა ბონდარენკოს სძლია - 5:7, 6:3, 6:3. რეიტინგში 1115-ე ადგილზე მყოფი ოზი და გორგოძე (324-ე) 2015 წელს ანტალიის ტურნირის მეთექვსმეტედფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ქართველმა ჩოგბურთელმა 6:3, 6:3 გაიმარჯვა.

წყვილებში გორგოძე თურქ აილა ასუსთან ერთად ასპარეზობის რეიტინგ-ფავორიტია. პირველ წრეში მათ მასპინძლებს — მუაზეზ დემირჩსა და დენიზ პეიკოჩის იოლად მოუგეს — 6:0, 6:1. ქართულ-თურქული დუეტი მეოთხედფინალში ალიონა ბონდარენკოსა (უკრაინა) და ქსენია პალკინასთან (ყირგიზეთი) გაარკვევს ურთიერთობას. ამ ტანდემმა თურქები — ექინ ერჩეთინი და ზეინაბ სარიოღლანი დაამარცხა — 6:2, 6:0.

ქალთა და ვაჟთა საერთაშორისო ასოციაციებმა წინა კვირის შედეგების გათვალისწინებით განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნეს.

ვაჟები

**ერთეულები.** 53 (67). ნიკოლოზ ბასილაშვილი (858 ქულა), 505 (504). ალექსანდრე მეტრეველი (73), 828 (829). გიორგი ცივაძე (20), 1772 (1772): ალექსანდრე ბაქში (1), შოთა მეფარიძე (1), ირაკლი მეტრეველი (1).

ქალები

**ერთეულები.** 235 (228). სოფიო შაფათავა 9210), 324 (325). ეკატერინე გორგოძე (128), 515 (516). მარიამ ბოლქვაძე (56), 626 (578). სოფიო ქვაცაბაია (36), 847 (846). ოქსანა კალაშნიკოვა (14), 1063 (1061). ანა შანიძე (7).

**წყვილები.** 54 (55). კალაშნიკოვა (1505), 179 (184). შაფათავა (347), 241 (244). გორგოძე (240), 472 (473). ქვაცაბაია (93), 562 (563). ბოლქვაძე (65), 715 (717). თათია მიქაძე (37), 1129 (1132). შანიძე (10), 1282 (1284). ლანა კენჭიაშვილი (3).

**ლაშა დიდია**

ფეხბურთი

# მატჩი – 2, გოლი – 14(!)



**შეცდომებს უსაქმური არ უშვებსო, რამდენჯერ გვსმენია. სხვა საქმეა, როგორ დასკვნებს გამოვიტანთ იაღლიშებიდან და რამდენად მოგვეცემა მათი გამოსწორების შანსი.**

„მანჩესტერ სიტისა“ და „მონაკოს“ მატჩი ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში, უპირველესად, დაუვიწყარი შედევრებით შევა, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ მასპინძლებმა — კაბალიერომ, სტოუნმა და აგუერომ, აგრეთვე, სტუმარმა ფალკაომ საკუთარი ლაფსუსები საქმენი საგმირონით გადაფარეს. კიდევ უფრო დასაფასებელია პეპ გვარდიოლას შეგირდთა მიერ გამოვლენილი ბრძოლისუნარიანობა, რომლებმაც შესვენების შემდეგ ურთულესი სიტუაციიდან იპოვეს გამოსავალი — 5:3 (პირველი ტაიმი — 1:2).

არანაკლებ იზრუნეს საფეხბურთო სპექტაკლის დასადგმელად იმავე საღმოს გამართული მეორე მერვედფინალური რაუნდის — „ლევერკუზენი“ — „ატლეტიკოს“ მონაწილეებმა, რომელშიც გერმანელ ფარმაცევტთა შემართება ესპანელ ათლეტთა კლასმა შთანთქა — 4:2. ასე რომ, პირველი წყვილისგან განსხვავებით, მათმა საპასუხო შეხვედრამ ინტრიგა დაკარგა და დიეგო სიმეონეს გუნდს შეუძლია მშვიდად იფიქროს მორიგ მეტოქეზე.

**გიორგი შოთაძე**

შეუვალი წრე

## ჯონ ფიჰანი:

# „საქართველოსთვის ვაკანსია არ გვაქვს“

**„დეილი მეილი“ კვლავ დაუბრუნდა ქართული რაგბის თემას. რაგბის შესახებ მწერალი და, კერძოდ, აქტუალურად ქცეული ქართული რაგბის თემის კურატორი, ჟურნალისტი კრის ფოი ექვსი ერის ხელმძღვანელობისა და სარაგბო ავტორიტეტების ბოლოდროინდელ განცხადებებს აანალიზებს. აქვეა ქართული თარგმანიც:**

„ექვსმა ერმა დაამსხვრია საქართველოს ოცნებები ამ ჩემპიონატში მოხვედრასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო რეიტინგში საქართველო იტალიაზე მაღლა დგას, ექვსი ერის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯონ ფიჰანმა რეფორმებისკენ მომრავლებული მოწოდებებისგან თავი შორს დაიჭირა.

**„ეს დახურული ჩემპიონატია, რომელიც მასში მონაწილე ექვსი სარაგბო კავშირის საკუთრებაა. ეს ექვსი კავშირი აკონტროლებს ამ ტურნირს“,** — თქვა ფიჰანმა, — **„ამ ტურნირში არ არის თავისუფალი ვაკანსიები. დღეს აბსოლუტურად კმაყოფილები ვართ იმით, რომ ჩვენს შეჯიბრებაში ევროპის ექვსი უძლიერესი გუნდი მონაწილეობს“.**



სახელგანთქმული სპეციალისტი სერ კლაივ ვუდვორდი, ვინც 2003 წელს ინგლისის ნაკრები მსოფლიო თასის მოპოვებამდე მიიყვანა, ხოლო ამჟამად „დეილი მეილის“ სპორტული მესვეტეა, შეუერთდა იმ სარაგბო ავტორიტეტების უკვე სოლიდურ არმიას, რომლებიც ექვსი ერის გაფართოებას ან თუნდაც ამ ტურნირსა და ევროპის რაგბის ჩემპიონატს შორის საკვალიფიკაციო ეტაპის დაწესებას ითხოვენ. ვუდვორდმა ღიად დაუჭირა მხარი პროტესტს იმ უსამართლო სიტუაციის წინააღმდეგ, რომელშიც საქართველოს ნაკრებია - „ბორჯღალოსნები“ ევროპის ბოლო 6 ჩემპიონატის უცვლელი გამარჯვებულები არიან, მაგრამ კონტინენტურ ელიტას ჯიუტად არ აკარებენ.

ჰოდა, ფიჰანმა კატეგორიულად უარყო ევროპის ჩემპიონის რამენაირი წახალისებისა და ექვსი ერის აუტსაიდერის დაქვეითების ალბათობა. ფიჰანი მტკიცედ ამბობს უარს ყოველგვარ დებატებზე იტალიელთა ირლანდიასთან კატასტროფული საშინაო მარცხის (10:63) ირგვლივ. „ერთი სული გაქვთ, ვინმე წაიქცეს, რათა წიხლებით შედგეთ“, - ასეთი რამ განუცხადა ჯონ ფიჰანმა კრიტიკოსებს, რომლებიც ექვს ერში კარდინალურ რეფორმებს მოითხოვენ.

**„ნებისმიერი ცვლილებისთვის ჩაკეტილები უნდა ვიყოთ? არა, მაგრამ დამაჯერებელი არგუმენტისთვის საჭიროა გარკვეული დრო - 10 ან 15 წელიწადი. უნდა ავირჩიოთ საუკეთესო, რაც წაადგება ჩვენს ექვსთა კავშირს. თითოეულმა მათგანმა უნდა დაადასტუროს, რომ ამა თუ იმ კონკრეტული ცვლილების მომხრეა, ხოლო სხვა გუნდებზე საუბარი დღესდღეობით ნაადრევია“,** - ამბობს ფიჰანი.

ექვსი ერის სხვა გუნდებისთვის გახსნილობის საკითხის განხილვაზე უარის თქმა აბსოლუტურ დისონანსშია „მსოფლიო რაგბის“ ექსპანსიის პოლიტიკასთან, მაგრამ ფიჰანი მტკიცედაა დარწმუნებული, რომ რაგბის გლობალური მმართველი ორგანიზაცია ჩემპიონატის მსვლელობაში ჩარევას ვერ შეძლებს.

„მსოფლიო რაგბი“ ამ ტურნირში ვერ ჩაერევა“, - თქვა ფიჰანმა, - ისინი ექვს ერს ვერ აკონტროლებენ, ამის არანაირი უფლება არა აქვთ და ვერ გვიკარნახებენ, რა და როგორ ვქნათ.

**„მსოფლიო რაგბის“ საქმეა ამ თამაშის განვითარება, ჩვენი საქმე კი, ექვსი ერის ჩემპიონატი ისე მოვაწყოთ, როგორც ამას საჭიროდ მივიჩნევთ. აგებენ თუ არა პასუხს ამ თამაშის განვითარებასა და გავრცელებაზე ექვს ერში გაერთიანებული რაგბის კავშირები? ალბათ, აგებენ, მაგრამ არა მგონია, რომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირის ხარჯზე უნდა ხდებოდეს. სხვა სარაგბო კავშირების განვითარება ჩვენს ფუნქციებში არ შედის, მაგრამ თუკი დახმარება შეგვიძლია, ჩვენ ამას ვაკეთებთ“.**

ამას წინათ ქართველთა კივი დამრიგებელმა მილტონ ჰეიგმა ფიჰანს თბილისში სტუმრობა და იმის დაკონკრეტება შესთავაზა, თუ რა სჭირდებათ „ბორჯღალოსნებს“ ექვს ერში მონაწილეობისთვის.

ფიჰანის ასეთმა შეუვალობამ „ევროპის რაგბის“ პრეზიდენტ ოქტავიან მორარიუს მასზე ათქმევინა, ამპარტავანიაო.

**„ექვს ერს ევროპული რაგბისთვის მეტი მხარდაჭერის გამოცხადებაც შეეძლო, მაგრამ ამას არ აკეთებს“, - თქვა მორარიუმ, - „ექვსი ერი ერთგვარ ელიტურ კლუბად აქციეს და ამპარტავნად გვესაუბრებიან. „ჩვენ მდიდრები ვართ! დიდი მადლობა, მაგრამ თქვენ არ გვჭირდებით“ -- აბა, ეს რა პასუხია?! ეს არ შეესაბამება რაგბის ღირებულებებს. როცა ისეთი კაცი, როგორიც კლაივ ვუდვორდია, გეუბნება, რომ რაღაც შესაცვლელია, ყური უნდა დაუგდო და დაუჯერო! ექვს ერში ცვლილებების შეტანის იდეას უკვე დიდი მხარდაჭერა აქვს. ორი თუ სამი წლის წინათ მსგავსი დისკუსიები წარმოუდგენელიც კი იყო. ექვს ერში მხოლოდ რამდენიმე ადამიანი მისმენდა, მაგრამ ახლა მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა“.**

მორარიუ აღიარებს, რომ ვერც „ევროპის რაგბი“ და ვერც „მსოფლიო რაგბი“ ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენენ, რათა ექვს ერს გაფართოება აიძულონ. ამის ნება შიგნიდან უნდა მოდიოდეს, იქ უნდა ხედავდნენ რეალობას. რუმინელი იმედოვნებს, რომ ხანგრძლივი არაოფიციალური საუბრებით საბოლოო მიზანი მაინც იქნება მიღწეული.

**„სრულად ვათვითცნობიერებ, რომ ექვსი ერი კომერციული კომპანიაა, ამდენად მის საქმეებში ვერ ჩავერევით“, — თქვა მან, — „მაგრამ თუკი ევროპული რაგბის განვითარება მართლაც გვსურს, დღევანდელ სისტემაში ეს შეუძლებელია. ექვსი ერი სრულად დომინირებს ევროპულ ბაზარზე. ექვსი ერის უზარმაზარ ჩრდილში განვითარება პრაქტიკულად შეუძლებელია.**

**ამ სეზონის შემდეგ მათ აღარ ეყოლებათ სპონსორი. დიდი კომპანიები დიდ ბაზარს ეძებენ. ევროპა კი ძალიან დიდი ბაზარია. „ევროპის რაგბიში“ შემავალი ქვეყნების მოსახლეობა ნახევარ მილიარდზე მეტია, ექვს ერში შემავალი ქვეყნებისა - სამჯერ ნაკლები. თან ეს ჩვენი მაქსიმუმი სულაც არაა“.**

9 მარტს, პარიზში, „რაგბი ევროპის“ საბჭოს სხდომაზე ექვს ერში გაიგზავნება სტრუქტურული ცვლილებების ახალი ოფიციალური მოთხოვნა. რაც შეეხება „მსოფლიო რაგბის“, ეს ორგანიზაცია კვლავაც მხოლოდ აკვირდება ჩიხურ მდგომარეობას და პროგრესული აზროვნების მსუბუქი წახალისებით იფარგლება, რადგან რეფორმის უზრუნველყოფისთვის საკმარის ძალაუფლებას არ ფლობს.

**„მსოფლიო რაგბის“ თავმჯდომარეს ბილ ბომონტს ჩვენთვის ამ თემაზე უთქვამს: „ვცდილობთ, საქართველოს და მისნაირ გუნდებს მეტოქეები შევურჩიოთ — ესაა ჯილდო მათი პროგრესისთვის. მაგრამ ის ტურნირი სხვა ქვეყნების საკუთრებას წარმოადგენს. „მსოფლიო რაგბის“ იურისდიქცია ვრცელდება მსოფლიო თასზე, 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატსა და შვიდკაცას მსოფლიო სერიებზე.**

**საქართველოს მაქსიმალურად დავეხმარეთ, როცა ამ ქვეყანას 20-წლამდელთა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა დავაკისრეთ. გვსურს, თამაშის პოპულარობა გავზარდოთ და რაგბის თამაშობდნენ ბევრ ქვეყანაში და არა მხოლოდ ტრადიციულ სარაგბო ქვეყნებში. თუმცა, ექვსი ერის და სანზარის საქმეებში ვერ ჩავერევით“.**

**კობა კობახიძე**

# თბილისის მოდის კვირეული ეძებს ახალ ტალანტებს!

საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, ნიჭიერ ხელოვანს, ეძლევა უნიკალური შანსი წარდგეს მაყურებლის, პრესის და სფეროს პროფესიონალების წინაშე, თბილისის მოდის კვირეული აცხადებს განაცხადების ღია მიღებას!

კვირეულში მონაწილეობის სურვილის მქონე დიზაინერი ჰ ხელოვანი ჰ არტისტი ვალდებულია დაიცვას სეზონური ჩარჩოები (შემოდგომაჰზამთარი 2017) და წარადგინოს კვირეულის მიერ მოთხოვნილი შემდეგი ინფორმაცია:

1. CV პირადი ინფორმაცია და პროფესიონალური გამოცდილება
2. კოლექციის კონცეფცია
3. კოლექციის ესკიზები
4. ფოტო / dbltj / Look book (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

TBILISI FASHION WEEK

თბილისის მოდის კვირეული შანსს მისცემს ნებისმიერ ნიჭიერ დიზაინერს, რომელიც გაივლის კონკურსის პირველ, შესარჩევ ეტაპს და მზად იქნება სრული კოლექციის შესაქმნელად/წარმოსაჩენად 1 თვის ვადაში – მინიმუმ 25 კოსტიუმი, სეზონი შემოდგომა/ზამთარი 2017.

განაცხადების მიღება დაიწყო და გაგრძელდება 10 მარტამდე!

# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**

**შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტი**

**კრედიტის №5078- GE; სესხის №8143-GE**

**პროექტის N P122204**

**დავალების სახელწოდება: თბილისი (გლდანი) – თიანეთის საავტომობილო გზის მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებების განსახორციელებლად დეტალური პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება**

**კონტრაქტი/ RFP #** SLRPII/CS/CQS-05

საქართველომ მსოფლიო ბანკს მიმართა **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აღნიშნული მომსახურების გასაწევად ინტერესის გამოხატვისთვის იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების ("მომსახურება") გასაწევად: **„თბილისი (გლდანი) – თიანეთის საავტომობილო გზის მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებების განსახორციელებლად დეტალური პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება ".**

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა 6 კვირა.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესთა გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს შემდეგი: კონსულტანტის კორპორატიული პროფაილი და შესაბამისი გამოცდილება დავალებასთან მიმართებაში.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას 1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:

h t t p : / / w w w . g e o r o a d . g e / ?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება **კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით შეჩევის მეთოდით** მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში.

დაინტერესებულ კონსულტანტებს უნდა გააჩნდეს საგზაო პროექტების პროექტირების და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების გამოცდილება.

**მოკლე სიაში მოხვედრის კრიტერიუმია:**

- ზოგადი გამოცდილება დეტალური პროექტისა და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებაში ბოლო 5 წლის განმავლობაში (დაწყებული 2012 წლის 1 იანვრიდან);
- სპეციფიური გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტურისთვის დეტალური პროექტის მომზადების გამოცდილება, რომელიც მოიცავს საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებებს ბოლო 5 წლის განმავლობაში (დაწყებული 2012 წლის 1 იანვრიდან);

შეფასებისას მოხდება მხოლოდ წარმატებით დასრულებული დავალებების გათვალისწინება.

*საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.*

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არა უგვიანეს **2017 წლის 9 მარტის, 17:00 საათისა.**

სახელი: გიორგი სეთურიძე

პოზიცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12

ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

**Georgia**

**Second Secondary and Local Roads Project (SLRPII)**

**Credit No.** 5078-GE; **Loan No.** 8143-GE

**Project No.** P122204

**Assignment Title: The Preparation of Detailed Design and Bidding Documents for Small - Scale Road Safety Improvements on Tbilisi (Gldani) – Tianeti Road**

**Contract/RFP No:** SLRPII/CS/CQS-05

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Second Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consulting companies to express their interest in providing the following services: **"The Preparation of Detailed Design and Bidding Documents for Small - Scale Road Safety Improvements on Tbilisi (Gldani) – Tianeti Road".**

Estimated duration of assignment is **6 weeks.**

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (*Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association* ) to enhance their qualifications. The experience of subconsultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:

h t t p : / / w w w . g e o r o a d . g e / ?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A consultant will be selected in accordance with the **"Consultant's Qualification Selection"** procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers* , January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

The consultant will be expected to have sound experience in the preparation of roads design and bidding documents.

**Shortlisting criteria:**

- General experience in preparation of detailed designs and bidding documents over the last 5 years (starting January 01, 2012);
- Similar experience i.e. experience in preparation of road infrastructure detailed designs that include road safety measures over the last 5 years (starting January 01, 2012);

Only SUCCESSFULLY COMPLETED assignments will be taken into account during evaluation.

*The Roads Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.*

Interested consultants may obtain further information at the address: info@georoad.ge

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **March 9, 2017, 17:00 hours.**

Name: Giorgi Seturidze

Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia

Email: info@georoad.ge

Web-Site: www.georoad.ge

# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**
**შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (SLRP III)**
**კრედიტი/სესხი IBRD 8402-GE**
**პროექტის P148048**
**დავალების სახელწოდება: სოფლის ტრანსპორტის საერთაშორისო კონსულტანტი**
**კონტრაქტი # SLRPIII/CS/ICS-08**

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის განსახორციელებლად**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **"სოფლის ტრანსპორტის საერთაშორისო კონსულტანტი"**.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება ზემოხსენებული დავალების შესასრულებლად. კონსულტანტის მოკლე ბიოგრაფია (CV) უნდა მოიცავდეს შესასრულებელ დავალებასთან შესაბამის გამოცდილებას.

საკონსულტაციო კონტრაქტის სავარაუდო ხანგრძლივობაა 70 დღე 6 თვის განმავლობაში. მათ შორის მოსალოდნელია რომ საერთაშორისო კონსულტანტი იმუშავებს საქართველოში დაახლოებით 30 დღე 3 ვიზიტის ფარგლებში, დანარჩენი პერიოდი კონსულტანტი იმუშავებს დისტანციურად.

დავალების მიზანია:

დავალების მიზანია დაეხმაროს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების დეპარტამენტსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს გააუმჯობესოს გზების მოვლა-შენახვის არსებული სისტემა - გზების მოვლა-შენახვისთვის პილოტური მცირე საწარმოების მიზანშეწონილობის და საქართველოში არსებული ვითარების გათვალისიწინებით შემოთავაზებული მიდგომის გამოყენებადობის დადასტურებით. დავალების მიზანია განაახლოს 2010 წელს ჩატარებული ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შედეგები და განსაზღვროს სტრატეგია და პროექტი თუ როგორ უნდა განხორციელდეს მცირე საწარმოების პილოტური პროგრამა ადგილობრივ გზების მოვლა-შენახვისთვის.

არსებული მოვლა-შენახვის სისტემის გასაუმჯობესებლად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს 3 ინდივიდუალური კონსულტანტის დაქირავებას (საერთაშორისო კონსულტანტი რომელსაც ექნება მსგავსი გამოცდილება, ადგილობრივი იურისტი და ადგილობრივი ინჟინერი) იმ მიზნით რომ დადასტურდეს შემოთავაზებული კონცეფციის საქართველოში გამოყენების შესაძლებლობა.

1. 2010 წელს მომზადებული ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების განახლება, საქართველოში აღნიშნულ სექტორში ამჟამად არსებული ვითარების გათვალისწინებით;
2. სამართლებრივი ასპექტების შესწავლა და მცირე საწარმოებისთვის საუკეთესი სამართლებრივი ფორმის განსაზღვრა;
3. მცირე საწარმოების შესაქმნელად ორი ან სამი რეგიონული გზის განსაზღვრა;
4. ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა იმის გასარკვევად თუ რამდენადაა ადგილობრივებში მზაობა და სურვილი რომ განხორციელდებს მცირე საწარმოების პროექტი;
5. აღნიშნული მიდგომის ანალიზი, რეკომენდაციების, დადებითი და უარყოფითი მხარების განსაზღვრა;
6. მცირე საწარმოების შექმნისგან მიღებული პოტენციური ეკონომიკური სარგებლის განსაზღვრა, რომელიც გადაწონის პროექტის განსახორციელებლად საჭირო ძალისხმევას (მცირე საწარმოების შექმნის, ტრენინგების ჩატარების და მისი მართვის თვალსაზრისით);

მოსალოდნელია, რომ სოფლის ტრანსპორტის საერთაშორისო კონსულტანტი უხელმძღვანელებს 2 ადგილობრივი კონსულტანტისგან შემდგარ გუნდს. ის უხელმძღვანელებს კვლევის პროცესს და რეკომენდაციების განსაზღვრას. მოსალოდნელია, რომ სოფლის ტრანსპორტის საერთაშორისო კონსულტანტი იმუშავებს გუნდთან ერთად და გაუწევს მათ კოორდინაციას საბოლოო რეკომენდაციების განსაზღვრისას ადგილობრივი კონსულტანტების ადგილობრივი გამოცდილების გათვალისწინებით.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, თავი V „ინდივიდუალი კონსულტანტის შერჩევა".

